აჭარა

გამოცემის 104-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№29 (25.157) 2 აგვისტო, 2024 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 25-30 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 27 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 760 მილიმეტრი.

მომდევნო 3 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

ბათუმს მიმდინარე ტურისტულ სეზონზე 1000 საპარკინგე ადგილი შეემატება

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

ქართველი ოლიმპიელების პირველი მედლის მილოცვით დაიწყო დღეს მთავრობის სხდომა. მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძემ რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება და არაერთი სიახლე დააანონსა

სხდომას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და ბათუმის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ. რეგიონის პირველმა პირმა მოახლოებულ სახალხო დღესასწაულ „შუამთობაზე“ ისაუბრა და მუნიციპალიტეტებს მაქსიმალური ჩართულობისკენ მოუწოდა. როგორც მან აღნიშნა, აქტიურად მიმდინარეობს კურორტ გოდერძის მიმართულებით ხულო-ადიგენის გზის რეაბილიტაცია, რომლის ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია. რეგიონი ზამთრის სეზონს გოდერძის მიმართულებით გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით შეხვდება, რაც გამორჩეულ ზამთრის კურორტს ახალ იმპულსს შესძენს და განვითარებისკენ უბიძგებს. თორნიკე რიუვაძემ ტურისტული სეზონის მიმდინარეობაზეც ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, ამ ეტაპზე აჭარას მილიონ სამასი ათასზე მეტი ვიზიტორი ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 8%-ით მეტია. ბათუმი არაერთი სპორტული და კულტურული ღონისძიების მასპინძელია, რაც ჩვენს ქალაქს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

თორნიკე რიუვაძემ კორექტირებულ ბიუჯეტზე და მის ფარგლებში დაგეგმილ და განხორციელებულ პროექტებზე იმსჯელა. როგორც მან აღნიშნა, არის გამოწვევებიც, რომელთა დაძლევაზე მთავრობა, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად, აქტიურად მუშაობს.

- აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის კორექტირების შემდეგ ბიუჯეტი 800 მილიონი ლარით განისაზღვრა, მომავალი წლისთვის კი მილიარდამდე გაზრდასაც ვგეგმავთ. კორექტირებული ბიუჯეტის ფარგლებში, სხვადასხვა მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდება. ბიუჯეტის ზრდასთან ერთად გაიზარდა ყველა მუნიციპალიტეტის დაფინანსება, რაც საერთო ჯამში 240 მილიონ ლარზე მეტია. მუნიციპალიტეტებს შორის ბათუმს ყველაზე დიდი, 200 მილიონ ლარზე მეტი, დაფინანსება აქვს. მზარდ, დინამიკურ ქალაქში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, გვაქვს გამოწვევებიც და მუნიციპალიტეტთან ერთად ამ მიმართულებითაც აქტიურად ვმუშაობთ. ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ავარიული სახლებია. შესაბამისად, ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, საერთო პროგრამის ფარგლებში - „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროექტი წარმატებით განხორციელდა. 4 მისამართზე უკვე დასრულდა ახალი საცხოვრებელი, თანამედროვე მრავალბინიანი პროექტი. აქტიურად მიმდინარეობს ძველი, ამორტიზებული შენობების გამაგრებითი სამუშაოები. ამ ეტაპზე 1000-ზე მეტი ოჯახი უსაფრთხო გარემოში აგრძელებს ცხოვრებას, საერთო ძალისხმევით კი ჩვენ უნდა შევძლოთ 3000-ზე მეტი ოჯახისთვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, - განაცხადა თორნიკე რიუვაძემ. მთავრობის თავმჯდომარემ პარკინგისა და გზებზე საცობების პრობლემებზეც გაამახვილა ყურადღება. როგორც მან აღნიშნა, განსაკუთრებით გაზრდილია მოთხოვნა ახალ საპარკინგე სივრცეებზე და ამის გათვალისწინებით, ბათუმს მიმდინარე ტურისტულ სეზონზე 1000 საპარკინგე ადგილი შეემატება.

- მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სექტემბრის ბოლომდე ბათუმის სტადიონზე არსებული საპარკინგე სივრცე 1000-ზე მეტ ავტომობილს უფასოდ დაეთმობა, რითაც ისარგებლებენ როგორც ბათუმელები, ისე ქალაქის სტუმრები. ბათუმს, განვითარებასთან ერთად, გამოწვევად ექცა გაზრდილი ნაკადები. შესაბამისად, საცობების პრობლემა დადგა დღის წესრიგში. ქალაქის შემოვლითი გზა, რომელიც მალე დასრულდება, საცობით გამოწვეული დისკომფორტის მინიმუმამდე დაყვანის საშუალებას მოგვცემს, - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

როგორც სხდომაზე ითქვა, მასშტაბური პროექტებია დაგეგმილი ბათუმის წყალმომარაგების მიმართულებითაც, რაც ახალი ქსელის მოწყობასა და ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე აბონენტების ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ითვალისწინებს.

თორნიკე რიუვაძის განცხადებით, მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებაა. სამინისტროს ბიუჯეტი 10 მილიონი ლარით გაიზარდა, რაც, ძირითადად, სოციალურად დაუცველ ოჯახებს მოხმარდება. განისაზღვრა ოჯახები, სადაც, მინიმუმ, ერთი წევრი 16 წლამდე მიუღწეველია, რომლებიც მთავრობისგან ყოველთვიურად 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ. გაიზარდა სტიქიით დაზარალებული ოჯახების დაფინანსებაც. მათთვის ახალი, უსაფრთხო საცხოვრისის შეძენის მიზნით გამოყოფილი სახსრები გაორმაგდა.

- იმედს გამოვთქვამთ, რომ გაზრდილი ბიუჯეტით არაერთი ოჯახის დაფინანსებას შევძლებთ. ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში, ასზე მეტმა ოჯახმა შეიძინა უსაფრთხო საცხოვრისი. გამოწვევა დიდია და პროექტი მომავალშიც გაგრძელდება. ასევე, გაიზარდა ახალშობილი ტყუპების მატერიალური ერთჯერადი დახმარების დაფინანსება. ამ მიმართულებითაც ვგეგმავთ მომავალში პროგრამის გაფართოებას. დასრულდა „ოცნების ქალაქის“ მშენებლობის პირველი ეტაპი. ოჯახებს ბინები ეტაპობრივად გადაეცემათ. ბევრი უკვე შესახლდა ახალ ბინებში. მადლობა მინდა გადავუხადო მოსახლეობას. ისინი გაგებით მოეკიდნენ კონკრეტულ პირობას, კერძოდ, განეხორციელებინათ ძველი ქოხების დემონტაჟი, რათა მომავალში თავიდან აგვერიდებინა ნებისმიერი ამ ტიპის გამოწვევა. როგორც მოსახლეობას დავპირდით, მშენებლობის მეორე ეტაპი, რომელიც 1000-ზე მეტი ახალი ბინის მშენებლობას ითვალისწინებს, ბიუჯეტში გაწერილია. მიმდინარე წელსვე ჩვენ შევძლებთ პროექტის დაწყებას, რომელიც ორი წლის განმავლობაში დასრულდება. ჩვენ ამ დანაპირებსაც შევასრულებთ, - განაცხადა მთავრობის თავმჯდომარემ.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორ საკითხზე იმსჯელეს. მთავრობის წევრებმა კორექტირებული ბიუჯეტის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ბათუმის მერ არჩილ ჩიქოვანის ანგარიში მოისმინეს.

მსოფლიო - ახალი მართლწესრიგის მოლოდინში

3

მხატვრის ხელში უბრალო ფანქარიც კი სხივად გარდაიქმნება

8

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ვერშემდგარი ტერორისტული აქტი და უარი – „ლელოს“

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში ტერორისტული აქტის მომზადებისა და ხელისუფლების დასამხობად შეთქმულების ფაქტზე კვლავ მიმდინარეობს დაკითხვები. შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება უკრაინაში მყოფი საქართველოს ხელისუფლების ყოფილი მაღალჩინოსნების და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებით და დაფინანსებით საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტებს, რისი მიზანიც ქვეყანაში არეულობის მოწყობა და ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობაა

თემა კვლავ განიხილება პოლიტიკურ სპექტრში. ოპოზიცია, ტრადიციულად, არ იცვლის აზრს და აღნიშნულ საქმეს აბსურდულს უწოდებს. მმართველი გუნდი დანაშაულებრივი სცენარის ავტორად რადიკალურ ოპოზიციას ასახელებს. ხელისუფლების ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ მმართველ გუნდს ამით მნიშვნელოვანი საკითხების გადაფარვა სურს.

პარტია „გირჩის“ წევრი ალექსანდრე რაქვიაშვილი „ქართული ოცნების“ მხრიდან დაშინების მცდელობად მიიჩნევს აღნიშნულ საკითხზე სუს-ში მიმდინარე გამოძიებას და სუს-ს ავტორიტეტს უწუნებს.

„სუს-ს, საერთოდ, არ აქვს ავტორიტეტი, რომ ამ ქვეყანაში რამე გამოიძიოს. სუსი არის მთავრობის ხალხისგან დაცვის ინსტრუმენტი და მთავრობამ ახლა აირჩია, რომ ხალხი უნდა დააშინოს. ჩვენს ქვეყანაში არავინ დაიჯერებს, რომ ბიძინა ივანიშვილს ვინმე თავდასხმას უპირებდა“, - აღნიშნა რაქვიაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

პარტია „ლელოს“ საპარლამენტო მდივან ლანა გალდავას კი ეს ყველაფერი საპნის ოპერას ახსენებს.

„ამ გადმოსახედიდან მე უკვე არასერიოზულად მეჩვენება ყოველი არჩევნების წინ დაანონსებული ე. წ. რევოლუციები და გადატრიალებები. სანამ არ გაკეთდება დეტალური განმარტებები, სანამ არ ვნახავთ დაკითხულ პირებსა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულ ადამიანებს, მანამ ამ ყველაფერს აქვს საპნის ოპერის ელფერი“, - განაცხადა მედიასთან გალდავამ.

მმართველი გუნდის წარმომადგენლებისთვის ოპოზიციონერების მხრიდან საეჭვოდ მიჩნეული სუსის გამოძიება, უაღრესად სანდოა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილის თქმით, რადიკალური ოპოზიციისგან არაფერია გასაკვირი, ტერაქტის ამბავი კი შემთხვევითი არ არის.

„მიმდინარე გამოძიების დეტალები არის სუსის საქმე, თუმცა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც შექმნილია ზოგადად მსოფლიოში, იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რომელზეც ყოველ ჯერზე ამბობენ, რომ შემთხვევითი იყო, რა თქმა უნდა, ასეთი შემთხვევითობების არ უნდა გვჯეროდეს. კრიტიკული უნდა ვიყოთ ამ შემთხვევითობების მიმართ. როგორც ჩანს, სუსში არსებობს სარწმუნო მონაცემები და ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საქმის ბოლომდე ჩაყოლა“, - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ მედიასთან საუბრისას.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ირაკლი ზარქუას შეფასებით, ოპოზიციას სისხლი და რევოლუცია სწყურია.

„ამ უსამშობლოებმა, რახან წლებია, არჩევნებით ვერაფერი გააწყვეს, შემდეგ შექმნეს რევოლუციური სცენარები, ვნახეთ - არაერთი. ყველა მოვიგერიეთ, ქართველ ხალხთან ერთად და მდგრადობა შეინარჩუნა ამ ქვეყანამ. ახლა უკვე გადავიდნენ ტერაქტებზე. ათეულობით ადამიანია დაკითხული. რა მასშტაბებზე იყო გასული, ხომ ხედავთ?! სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ არაერთგზის აღკვეთეს და ახლაც სწორედ ამასთან გვაქვს საქმე, - მაქსიმალურად ცდილობენ პრევენცია მოახდინონ, რათა აქ წინასაარჩევნოდ დაძაბულობის კერა არ შეიქმნას, რისი მოლოდინიც არსებობს, ჩვენ ხომ ვნახეთ, სისხლი უნდათ“, - განაცხადა ზარქუამ.

შეგახსენებთ, სუს-მა ოფიციალურად დაადასტურა, რომ გამოძიება უკრაინაში მყოფი საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნებისა და ძალოვანი უწყებების ყოფილი თანამშრომლების ორგანიზებითა და დაფინანსებით, საქართველოში დანაშაულებრივი ქმედებების, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტზე მიმდინარეობს. სუს-ის ინფორმაციით საქმე გრიფირებულია და კონკრეტული დეტალები არ საჯაროვდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრეზიდენტის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლოში ოპოზიციამაც შეიტანა სარჩელი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მოქმედების შეჩერებასთან დაკავშირებით. სარჩელს 38-მა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მოაწერა ხელი. ისინი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის კონსტიტუციის 22-ე და 78-ე მუხლებთან შეუსაბამობის დადასტურებასა და მის გაუქმებას ითხოვენ.

აღნიშნულზე მედიასთან კომენტარი გააკეთა ოპოზიციონერმა დეპუტატმა თამარ კორძაიამ.

„საპარლამენტო ოპოზიცია ერთიანია სამოქალაქო საზოგადოებასთან, მედიასთან, საქართველოს პრეზიდენტთან და საერთოდ, თითოეულ საქართველოს მოქალაქესთან. რუსული კანონი არღვევს საქართველოს კონსტიტუციას, ძირს უთხრის საქართველოს დემოკრატიას და ვთვლით, რომ ჩვენი კონსტიტუციური ვალდებულებაა, ამაზე ვიდავოთ საკონსტიტუციო სასამართლოში. პირველი ეტაპი არის შეჩერება, ჩვენ ვითხოვთ შეჩერებას. არჩევნებამდე ეს კანონი უნდა შეჩერდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შეუქცევადი ზიანი მიადგეს ამ ქვეყანას“, - განაცხადა თამარ კორძაიამ.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე თინა ბოკუჩავას თქმით, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო არ გამოიყენებს შანსს, რომ დადგეს კონსტიტუციის და ქართველი ხალხის მხარეს, ამ შანსს გამოიყენებს ქართველი ხალხი 26 ოქტომბერს“.

მმართველ გუნდში მიიჩნევენ, რომ გამჭვირვალობას არაფერი უდგას წინ და ამის არც არასამთავრობო სექტორს და არც ოპოზიციას არ უნდა ეშინოდეს.

მედიასთან ისაუბრა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე მერაბ ტურავამ და აღნიშნა, რომ არასამთავრობო სექტორის, პრეზიდენტისა და ოპოზიციის სარჩელი ერთ წარმოებად გაერთიანდება.

„ეს სამივე სარჩელი გაერთიანდება ერთ წარმოებად. მინიმუმ, ერთი თვე დასჭირდება ალბათ. ჩვენ სარჩელები და კანონი არა მარტო უნდა წავიკითხოთ, არამედ, ასევე, შედარებითი სამართლებრივი კვლევა უნდა ჩავატაროთ და ამას მინიმუმ, რამდენიმე კვირა, ერთ თვემდე მაინც დასჭირდება. სარჩელი განიხილება პლენუმის ფორმატში. მოსამართლეები ამ ეტაპზე სწავლობენ სარჩელებს. ისინი შეიკრიბებიან ისე, როგორც ამას მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს“, - აღნიშნა ტურავამ.

მიმდინარე კვირა წაგების კვირა აღმოჩნდა „ლელოს“ წევრებისთვის.

მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ ანაკლიის პორტთან დაკავშირებით საარბიტრაჟო დავა საქართველოსთან წააგეს. როგორც ცნობილია, აღნიშნული დავის საფუძველია ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შესახებ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობამ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება 2020 წლის 9 იანვარს მიიღო. იმავე დღეს, „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ ხელმძღვანელმა ლევან ახვლედიანმა განაცხადა, რომ მთავრობის გადაწყვეტილებას საარბიტრაჟო სასამართლოში გაასაჩივრებდნენ. მიმდინარე წლის 29 ივლისს პარტია „ლელოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ საკუთარი ფეისბუქგვერდის მეშვეობით საზოგადოებას ამცნო საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება.

იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ დავის წაგებასთან ერთად ხაზარაძე-ჯაფარიძეს, მთავრობის სასარგებლოდ, 650 ათასი დოლარის გადახდაც დაეკისრათ.

„ანაკლიის პორტის ჩავარდნა არ არის გამოწვეული კონტრაქტის პირობებით. ის გამოწვეულია იმ პოლიტიკური დევნით, რომელიც დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“, - ასე შეაფასა პარტია „ლელოს“ გენერალურმა მდივანმა ირაკლი კუპრაძემ ანაკლიის პორტის საკითხი.

საკითხს გამოეხმაურა აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ ილია ვერძაძე და აღნიშნა, რომ ხაზარაძე-ჯაფარიძის პოლიტიკური ავანტიურის კრახი სახეზეა.

„ადამიანებს, სადაც უნდა იყვნენ და რა საქმითაც უნდა იყვნენ დაკავებულნი, ახასიათებთ მოქმედების და მორალის გარკვეული სტილი, ბიზნესი იქნება ეს თუ პოლიტიკა, არ აქვს მნიშვნელობა. მარტივი გზით, ხშირად, თაღლითობით მოპოვებულ შემოსავალს მიჩვეულნი, ამავე გზებით ცდილობენ პოლიტიკაში დივიდენდების მიღებას - მარტივად და არაკეთილსინდისიერად. მათთვის სამწუხაროდ, საარბიტრაჟო სასამართლომ ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა. როგორ უნდა გძულდეს ქვეყანა ან ისე ვერ აცნობიერებდე საქციელს, რომ ასეთი ნაბიჯები გადადგა. ვფიქრობ, ამ გუნდში მყოფი პოლიტიკოსები, თუ ასეთები არიან მათ რიგებში, არ უნდა ეცადონ ამ პოლიტიკური ავანტიურის გამართლებას“, - გვითხრა ილია ვერძაძემ.

ქრონიკა

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოადგილედ არჩილ სირაბიძე დაინიშნა. ინფორმაციას საკადრო ცვლილებასთან დაკავშირებით აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, არჩილ სირაბიძე სამინისტროში 2010 წელს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდა. 2011 წელს - რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯების, პროგნოზირებისა და შესრულების ანალიზის განყოფილების უფროსის, ხოლო 2013 წლიდან სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას იკავებდა. პროფესიით ეკონომისტი არჩილ სირაბიძე სამინისტროს საფინანსო-საბიუჯეტო მიმართულებას უხელმძღვანელებს. არჩილ სირაბიძეს საჯარო სამსახურში მუშაობის 16-წლიანი გამოცდილება აქვს. სამინისტროს სამსახურის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ არჩილ სირაბიძის პროფესიონალიზმზე ისაუბრა.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძემ ქობულეთის მერ ლევან ზოიძესთან ერთად თანამშრომლებს ახალი მოადგილე ირაკლი ცეცხლაძე ოფიციალურად წარუდგინა. ირაკლი ცეცხლაძემ ამ თანამდებობაზე დავით ვერულიძე ჩაანაცვლა, რომელიც ამიერიდან საქმიანობას აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტში გააგრძელებს. ახალ ვიცე-მერს საჯარო სამსახურში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ის წლების განმავლობაში შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს ხელმძღვანელობდა. თორნიკე რიყვაძემ ქობულეთის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილთან და ქობულეთის მერ ლევან ზოიძესთან ერთად ქობულეთის საკრებულოს წევრებთან შეხვედრაც გამართა, სადაც მიმდინარე და სამომავლო გეგმები და პროექტები განიხილეს.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიყვაძე საქართველოს საჯარო უნივერსიტეტების სტუდენტური კლუბების წევრებს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ნოდარ პაპუკაშვილი, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსი ნიკა ჩხარტიშვილი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაში ესწრებოდნენ. რეგიონის პირველმა პირმა ახალგაზრდებს აჭარაში განხორციელებული და დაგეგმილი საგანმანათლებლო, ინფრასტრუქტურული, საინვესტიციო პროექტები გააცნო. როგორც მან აღნიშნა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში ახალგაზრდებთან მუდმივი კომუნიკაცია და მათი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის დაპირებისამებრ, „ოცნების ქალაქის“ პირველი მობინადრეები ძმები ანრი და კახა ბერიძეები გახდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს, რომლის მიხედვითაც „ოცნების ქალაქში“ 30-მდე ოჯახს გადაეცა გასაღები და ახალაშენებულ კომპლექსში შესახლდა. შესახლება ყოველდღიურად გაგრძელდება. „პირველ ეტაპზე ბინები სპეციალური კომისიის მიერ შემუშავებული კრიტერიუმებით შერჩეულ ოჯახებზე გადანაწილდა. შესახლების პროცესი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ დაიწყო. ე. წ. ოცნების ქალაქში 582 ოჯახზე გათვლილი სამი 12-სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი აშენდა. პროექტის მეორე ეტაპის განხორციელება უკვე დაწყებულია. პროექტის ახალი ეტაპი მთლიანი ტერიტორიის დაგეგმარებას, სწორ ურბანულ განვითარებას, საგანმანათლებლო, საცხოვრებელი და რეკრეაციული სივრცეების შექმნას გულისხმობს. „ოცნების ქალაქი“ არის ერთ-ერთი მასშტაბური, უპრეცედენტო სოციალური პროექტი, რომლის განხორციელების გადაწყვეტილებაც აქ მცხოვრები 1600-ზე მეტი ოჯახის მძიმე სოციალური პირობების გათვალისწინებით იქნა მიღებული“, - ნათქვამია აჭარის მთავრობის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. მოსახლეობას ბინები აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძემ და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ გადასცეს.

* * *

თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით საქართველოს რკინიგზა 1-ელი აგვისტოდან 25 აგვისტოს ჩათვლით და 1-ელი აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით რეისებს ამატებს. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს რკინიგზა ავრცელებს. ასევე, 1-ლი აგვისტოდან მსვლელობიდან მოიხსნება თბილისი-ბათუმი-თბილისის ღამის სამგზავრო მატარებელი.

იხ. მე-9 გვ.

მსოფლიო - ახალი მართლწესრიგის მოლოდინში

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

„დღეს მსოფლიო დგას მიჯნაზე - მიმდინარეობს ახალი მსოფლიო მართლწესრიგის დამყარება. შეძლებს თუ არა მსოფლიო თანამეგობრობა, დაძლიოს გამოწვევები და მშვიდობიანი გზით მიაღწიოს ახალ წესრიგს, თუ უნდა განმეორდეს 1940-45 წლები, როცა მივიღეთ მსოფლიოს ახალი წესრიგი?“ - ამ შეკითხვას სვამენ დასავლელი ანალიტიკოსები (ბორის პინკუსი, რამიზ იანუსი), რომელთა თქმით, რუსეთ-უკრაინის ომი ამის თვალსაჩინო მაგალითია და ამ ქვეყანაში, რეალურად, ერთმანეთს დასავლეთი და რუსეთი დაუპირისპირდა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული, გარკვეულწილად, ევროპის მომავალს ათწლეულში გადაწყვეტს

ახალს არაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ქაოსია - რუსეთი გლობალურ პოლიტიკაში დესტრუქციულ როლს თამაშობს. თუ დავუკვირდებით ბოლო 17 წლის პროცესებს, კარგად დავინახავთ, რომ რუსეთმა შეძლო პოზიციების გამყარება პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან მიმართებით. საერთაშორისო არენაზე შემოიტანა არაღიარებული ტერიტორიების ცნება, დაარღვია საქართველოს, მოლდოვის და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ უკრაინაში ცივილიზაციური ომი მიმდინარეობს რუსეთსა და დასავლეთს, დემოკრატიასა და დიქტატურას, სინათლესა და სიბნელეს შორის. რა თქმა უნდა, სინათლეს უკრაინა განასახიერებს, სიბნელეს კი რუსეთი. საგულისხმოა ისიც, რომ კრემლის რიტორიკა დასავლეთთან მიმართებითაც აგრესიული და დამცინავია. ეს დასავლეთისთვის უკვე სერიოზული თავსატეხია.

> ***„დასავლეთს უჭირს რუსეთის შეკავება, რაც ნათლად ჩანს უკრაინის შემთხვევაში: თითქმის სამი წელია, კრემლი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. რომ არა კოლექტიური დასავლეთის თანადგომა უკრაინისადმი, ეს სახელმწიფო ვერ გაუძლებდა რუსეთთან ომს. ეს მკაფიოდ უნდა ითქვას, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ, რეალურად, დასავლეთს ხელს არ აძლევს რუსეთის მარცხი ამ ომში მრავალი მიზეზის გამო***

ბუნებრივია, ევროკავშირს და აშშ-ს სჭირდება ახალი მიდგომების შემუშავება ამ ქვეყანასთან მიმართებაში, თუნდაც მისი შეკავების თვალსაზრისით. დასავლეთში ამ მხრივ მცირე დაბნეულობა შეინიშნება, რაც, გარკვეულწილად, გამოწვეულია აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებით, საპრეზიდენტო კანდიდატების - ტრამპისა და კამილა ჰარისის მიზნები და ხედვები საგარეო კუთხით მსოფლიოსთვის გაურკვეველია. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ უკრაინაში ომს დაასრულებენ, მაგრამ როგორ, ამაზე გარკვევით არ საუბრობენ.

სადღეგრძელოების შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს მათი მოწოდებები რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებით. ამით კარგად სარგებლობს მოსკოვი და რეალურ შედეგს იღებს თუნდაც უკრაინის მაგალითზე. ასეთი დაბნეულობის შედეგი კარგად ჩანს საქართველოში. სწორედ ამის შესახებ საუბრობს საჯარო მმართველობის დოქტორი გიგა ფარტენაძე: „ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის ერთი ნაწილი აშშ-ის გეოპოლიტიკურ ველშია მოქცეული, ხოლო მეორე ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს მდგომარეობა კარგად გამოხატავს რუსეთ-აშშ-ის კონკურენციას ჩვენს ქვეყანაში, ამიტომ საქართველოს ბეწვის ხიდზე უწევს სიარული. ჩვენმა ქვეყანამ, ცხადია, უნდა გააგრძელოს დასავლეთისკენ სვლა, განვითარება“.

ანალოგიური შეხედულებისაა პოლიტოლოგი გელა ირემაძე: „პუტინის მიზანი კვლავ და კვლავ იგივეა - ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს დასავლეთისა და ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რაც არ სურთ ამ უკანასკნელებს. მათი მიზანია, რუსეთი გადააქციონ რიგით დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომელშიც ისეთივე გავლენები ექნებათ, როგორიც - სხვებში. შესაბამისად, ის ეწინააღმდეგება დასავლეთს და იღვწის გლობალურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებისთვის. ომი უკრაინის წინააღმდეგ ამის მაგალითია“.

რას აკეთებს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად დასავლეთი? დიდს - ვერაფერს, თუმცა ამას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს. დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები მეტყველებს, რომ ვერც ერთი სახელმწიფო გადაწყვეტილებას ცალმხრივად ვერ იღებს, ყოველი მათგანი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სხვა, დაინტერესებული ქვეყნის ინტერესებს. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? მთავარი აქტორებია აშშ, ევროკავშირი, ჩინეთი და, გარკვეულწილად, რუსეთი. ამ მიმართებით დასავლეთი და რუსეთი უკრაინაში უპირისპირდებიან ერთმანეთს. სამწუხაროდ, მოცემული მომენტისთვის დასავლეთს უჭირს რუსეთის შეკავება, რაც ნათლად ჩანს უკრაინის შემთხვევაში: თითქმის სამი წელია, კრემლი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებს ამ ქვეყნის წინააღმდეგ. რომ არა კოლექტიური დასავლეთის თანადგომა უკრაინისადმი, ეს სახელმწიფო ვერ გაუძლებდა რუსეთთან ომს. ეს მკაფიოდ უნდა ითქვას, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ, რეალურად, დასავლეთს ხელს არ აძლევს რუსეთის მარცხი ამ ომში მრავალი მიზეზის გამო. სწორედ ამის შესახებ საუბრობს ამერიკელი ანალიტიკოსი რამიზ იანუსი: „პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. დასავლეთი არაა დაინტერესებული რუსეთის კაპიტულაციით, მიზეზი - რუსეთის დაშლის ეშინათ, არ სურთ მისი ბირთვული იარაღი სხვადასხვა ქვეყნის საკუთრებაში მოხვდეს“.

ამ მოცემულობას კარგად იყენებს კრემლი და დასავლეთს ახალ მოთხოვნებს უყენებს გავლენის სფეროების სახით. ისმის კითხვა: რას გულისხმობს რეალურად პუტინისეული მრავალპოლუსიანი სამყარო? ექსპერტის აზრით, ეს არის გავლენის სფეროებად დაყოფილი ტერიტორიები, სადაც იარაღი და ნარკოტიკი თავისუფლად იყიდება, დესპოტი მმართველები, დაჩაჩანაკებული მოსახლეობა, რაც რუსეთის მიზანია.

სხვათა შორის, ანალოგიებს იმ ნგრევისა და მსხვერპლის მასშტაბისა, რომელიც რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე ვიწვნიეთ, ძნელად თუ ვიპოვით საქართველოს ისტორიაში. უამრავი უსიამოვნო ფაქტიდან ერთს გამოვყოფ - რუსეთს, სადაც კი საშუალება მიეცა, ძირძველი ქართული ტერიტორიები მიზანმიმართულად გაწმინდა ეთნიკური ქართველებისგან. მაგალითად, ცხინვალის რეგიონში რამდენიმე დღეში უამრავი ქართული სოფელი, უბრალოდ, მოსპო. გარდა ამისა, კრემლი იდეოლოგიურადაც გვებრძვის, საკმარისია ავყვეთ მის პოლიტიკას, პროპაგანდისტულ კლიშეებს, მოვადუნოთ ჩვენი წინააღმდეგობა და იგი წარბშეუხრელად დაშლის საქართველოს სახელმწიფოს. ეს მიზანი რომ განახორციელოს, ცხადია, დასავლეთს უნდა გაურიგდეს.

რამდენად მნიშვნელოვანი იქნება თუნდაც ტრამპისთვის ევროკავშირი, ნატო და, მით უმეტეს, სამხრეთ კავკასია? - ამ კითხვებს ხშირად სვამენ ანალიტიკოსები. როგორც ცნობილია, დონალდ ტრამპი არაორდინარული პიროვნებაა. დროდადრო ის დასავლეთისთვის გაუგონარ განცხადებას აკეთებს, რომ პუტინთან შეიძლება მოლაპარაკება, ომს 24 საათში დაასრულებს და ა. შ. აქედან გამომდინარე, პოლიტოლოგები დიდ ცვლილებებს და მსოფლიოს ახალ გადანაწილებას წინასწარმეტყველებენ.

უდავოა, რომ მიმდინარეობს ახალი მსოფლიო მართლწესრიგის დამყარების პროცესი. ეს მნიშვნელოვანი საკითხია - ანუ შეძლებს თუ არა მსოფლიო თანამეგობრობა რუსეთის შეკავებას უკრაინაში, რომელიც, ექსპერტთა აზრით, ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის შედეგად მივიღეთ ახალი მსოფლიო წესრიგი. ორმა ზესახელმწიფომ - აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა მსოფლიო გადაინაწილეს. სწორედ ამგვარი მოვლენის განმეორებას ესწრფვის რუსეთი. ჯერჯერობით მოსკოვმა დასავლეთი გავლენის სფეროების დაკანონებაზე ვერ დაითანხმა, თუმცა არავინ იცის, ისინი სამომავლოდ რაზე გარიგდებიან.

პოლიტიკაში ვაჭრობა არახალია. ამის მაგალითები არაერთხელ მომხდარა უახლოეს ისტორიაში, ამიტომაც ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველო ცივი გონებით უნდა მოქმედებდეს საგარეო პოლიტიკაში. სწორედ ამის შესახებ საუბრობს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი ლევან ჯაყელი: „რუსეთთან საუბარი რთულია, მით უფრო, ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციასთან დაკავშირებით. არა მგონია, ამ საკითხში ჩვენ მასთან შეთანხმებას მივაღწიოთ. ამჟამად ეს შეუძლებელია, მიუხედავად ამისა, მოსკოვთან საუბარი აუცილებელია, თუმცა ამ მოლაპარაკებებში დასავლეთიც უნდა ჩაერთოს, აშშ-მა და ევროკავშირმა რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა მოსთხოვონ“.

როგორც ვხედავთ, მსოფლიო დაუნდობელი გახდა, მიმდინარეობს ბრძოლა ტერიტორიებისა და ძალაუფლებისთვის. უდავოა, თუ პუტინს უკრაინაში გამარჯვების საშუალება მიეცემა, კრემლის ტიპის იმპერიალიზმი მსოფლიოს დაუბრუნდება. ამ შემთხვევაში რუსეთს რა შეაჩერებს მოლდოვის, საქართველოს, სომხეთისა და ყაზახეთის დაპყრობაში? არაფერი. ამიტომ თუ დასავლეთს სურს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს, კრემლის ამბიციები უნდა დაითრგუნოს, რათა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განვითარების და კეთილდღეობის საშუალება მიეცეს.

საქსტატის ცნობით:

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წლის მეორე კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების 1,7 მილიონი შემოსვლა, რაც 4,2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტიორების რიცხვია 1,5 მილიონი, რაც 4,6 პროცენტით მეტია 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ამასთან, უწყების ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის მეორე კვარტალში საერთაშორისო ვიზიტიორების რაოდენობამ 1,3 მილიონს მიაღწია, რაც 5,5 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტიორების მიერ განხორციელდა 1,2 მილიონი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 9,2 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

საერთაშორისო ვიზიტიორების 77,2 პროცენტი ტურისტები იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების წილმა 18,8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტიორების 4,0 პროცენტი როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი იყო.

ამა წლის მეორე კვარტალში ვიზიტიორების ყველაზე დიდი რაოდენობა (287,2 ათასი) დაფიქსირდა თურქეთიდან, რაც მათი ჯამური რაოდენობის 22,5 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა რუსეთის ფედერაცია 20,9%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - სომხეთი 10,6%-იანი წილით. შესაბამისად, ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა განხორციელდა თურქეთის (369,4 ათასი), რუსეთის ფედერაციის (312,1 ათასი) და სომხეთის (195,9 ათასი) მოქალაქეების მიერ.

საქსტატის ინფორმაციით, ვიზიტიორების უმრავლესობა (46,9 პროცენტი) მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა ვიზიტიორების მთლიანი რაოდენობის 40,6 პროცენტს შეადგენდა.

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ვიზიტების ყველაზე დიდი ნაწილი (53,7 პროცენტი) განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით, ხოლო ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარაში, შესაბამისად, 850,4 ათასი და 569,2 ათასი ვიზიტი.

2024 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 3,4 მილიარდ ლარს გაუტოლდა, რაც 2,7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ვიზიტზე საშუალო ხარჯი 2023 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 1,8 პროცენტით შემცირდა და 2 251,8 ლარი შეადგინა.

იაპონიის მთავრობის პროექტები – აჭარაში

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იშიძუკა ჰიდეკი და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე იაპონიის მთავრობის მიერ 2023-2024 წლებში დასრულებული პროექტების გახსნის ცერემონიას დაესწრნენ

პროექტის „აჭარაში ტყის ხანძრის საპასუხოდ და პრევენციისთვის მძიმე ტექნიკის შეძენა“ გახსნის ცერემონიას, ასევე, ესწრებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, აჭარის სატყეო სააგენტოს ხელმძღვანელი ჯუმბერ აბულაძე, „თემი და გარემოს“ გამგეობის წევრი ლელა ჯანაშია და სხვები.

პროექტის ფარგლებში შეძენილია მძიმე ტექნიკა აჭარის ტყის ხანძარსაწინააღმდეგო და კატასტროფების პრევენციის შესაძლებლობების გასაძლიერებლად, რაც, დაახლოებით, 361 000 მოსახლეს შესაძლებლობას აძლევს, ისარგებლოს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოთი. გრანტის ოდენობა 69 000 აშშ დოლარია.

პროექტი განხორციელდა გრასრუტების საგრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში, რომელიც დახმარებას უწევს შედარებით მცირემასშტაბიან პროექტებს და ხორციელდება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, განათლება, სოციალური დაცვა და სიღარიბის დაძლევა. იაპონიაში ადამიანის უსაფრთხოების კონცეფცია არსებითად ემყარება რწმენას, რომ ყველას აქვს უფლება, იცხოვროს ჯანსაღი, ღირსეული და სრულფასოვანი ცხოვრებით. 1998 წლიდან დღემდე ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში დაფინანსდა 216 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ, აღნიშნული პროექტის ჩათვლით, 25 მილიონ აშშ დოლარამდე შეადგინა.

ჩვენთან საუბარში ელჩმა განაცხადა, რომ პროექტი წარმატებით დასრულდა და იმედოვნებს, რომ საქართველოსა და იაპონიას შორის მსგავსი ტიპის თანამშრომლობა გაგრძელდება.

„მადლობა იაპონიის მთავრობას წლების განმავლობაში საქართველოს მუდმივი მხარდაჭერისთვის როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების, ასევე, გარემოს დაცვის კუთხით. ჩვენთვის მნიშვნელოვანია იაპონიის მხარდაჭერა და თანამშრომლობის გაღრმავება“, - განაცხადა ზაზა შავაძემ შეხვედრისას.

ასევე, იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით აჭარაში განხორციელდა პროექტი „მანდარინის სათბურ-იზოლატორის მოწყობა“, რომელიც ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ჩაქვის ციტრუსოვანთა საცდელ-სადემონსტრაციო სანერგე მეურნეობაში მოეწყო. იგი იაპონიის ელჩმა გახსნა. ღონისძიებას ესწრებოდნენ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორი რაულ თავართქილაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები და სხვები.

ახალ სათბურში მანდარინის ნერგები ქიმიური სასუქებისა და პესტიციდების შემცირებით მიიღება.

„აგროსერვისცენტრი“ შეძლებს, ნერგების წარმოება 5 000-დან 15 000-მდე გაზარდოს. ადგილობრივ მცირე და საშუალო ფერმერებს შეეძლებათ ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად გაუმჯობესებული ხარისხის ნერგების მოყვანა, შესაბამისად, მანდარინის ხის მოსავლიანობა მესამე წლისთვის 40%-ით გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს ფერმერებს შემოსავლის გაზრდაში. გრანტის ღირებულება შეადგენს 64 330 აშშ დოლარს.

დაბოლოს, დამსწრეთ პროექტის „მაჭახლის ხეობა - მწვანე ენერგიის ზონა“ შედეგები გააცნეს.

შარშან იაპონიის მთავრობამ მხარი დაუჭირა გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), რათა ხელი შეუწყოს აჭარაში მაჭახლის დაცულ ტერიტორიაზე უნიკალური კოლხური ტყეების ეკოსისტემის დაცვას და ტყის დეგრადაციის რისკის შემცირებას, რაც საწვავი შეშის გადაჭარბებული გამოყენებით, კლიმატის ცვლილებითა და გლობალური კრიზისებით არის გამოწვეული. კერძოდ, მაჭახლის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში დაინერგა განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები: მზის წყლის გამაცხელებლები და მზის პანელები. პროექტის შედეგებით, ხეობის 1350 მცხოვრებმა, ძირითადად, ქალებმა, ისარგებლეს. პროექტი იაპონიის მთავრობამ 594 486 აშშ დოლარით დააფინანსა.

გაეროს განვითარების პროგრამის დაცული ტერიტორიების პროექტის მენეჯერმა ირაკლი გოგრაძემ აღნიშნა, რომ „პროექტი განხორციელდა იაპონიის მთავრობის დაფინანსებით. პროექტის მიზანი იყო, შემცირებულიყო სათბობ შეშაზე მოთხოვნა ადგილობრივ მოსახლეობაში და ამით ხელი შეეწყოთ ბიომრავალფეროვნების დაცვის, ტყის შენარჩუნების და, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისთვის. პროექტის ფარგლებში მოხდა 200 მზის წყლის გამაცხელებლის და 75 მზის პანელების მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. თითქმის მაჭახლის ხეობის ნახევარი უზრუნველყოფილია ამ განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიებით, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მაჭახლის ხეობა გადაიქცა სუფთა ენერგიის ზონად. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე მრავალი წელია ვმუშაობთ“.

სპორტი

ფეხბურთის თამაში ქალებსაც შეუძლიათ

თამარ ლამპარაძე 595 85 80 06

2024 წელი ქართული ფეხბურთისთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. ისტორიაში პირველად, საქართველოს ეროვნული ნაკრების ბიჭებმა ევროპის ჩემპიონატზე გასვლით უდიდესი სიხარული მოგვანიჭეს, მაგრამ მათ არც ეროვნული ნაკრების ქალი ფეხბურთელები ჩამორჩნენ. 2024 წლის 16 ივლისს საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ლიეტუვის ნაკრებს დაუპირისპირდა. გამარჯვების გოლი მატჩის 88-ე წუთზე მაიკო ბებიამ გაიტანა და ამით ფეხბურთში საქართველოს ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეი ოფში თამაშის საგზურიც მოიპოვა

გადამწყვეტი გოლის ავტორი მაიკო ბებია ჩვენთან თამაშის ემოციებსა და ქალთა ფეხბურთის სირთულეებზე საუბრობს.

- ფეხბურთით როდის დაინტერესდით?

- დაახლოებით, 7 წლის ასაკში - ჩემს ძმასა და მის მეგობართან ერთად ძალიან დიდ დროს ვატარებდი, რადგან უბანში ერთადერთი გოგო ვიყავი. ისინი ხშირად თამაშობდნენ ფეხბურთს, მე კი ვუყურებდი და ვხედავდი, რამხელა სიამოვნებას იღებდნენ, ამიტომ თამაში მეც ვცადე. მას შემდეგ ფეხბურთი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. 9 წლის ასაკში ჩხოროწყუში ბიჭების ადგილობრივ გუნდში მივედი, რადგან ქალთა გუნდი არ არსებობდა. მათთან ერთად 5 წელი გავატარე და ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი ვისწავლე. ჩემი პირველი მწვრთნელის - პაატა ჯალაღონიას დამსახურებაა, რომ დღეს ეროვნულ ნაკრებში ვთამაშობ. მან აღმზარდა და ფეხბურთში გზა გამიკვალა.

- როგორ მოხვდით ეროვნულ ნაკრებში?

- 13 წლის ვიყავი, ასაკობრივ ნაკრებში პირველად რომ დამიძახეს, იქიდან კი, 17 წლისა, ეროვნულ ნაკრებშიც მოვხვდი. „კოკაკოლას“ ჩემპიონატზე შემამჩნიეს, რომელიც კვარიათში ზაფხულში ყოველწლიურად ტარდებოდა.

- სტერეოტიპი დაამსხვრიეთ და... როგორი იყო ოჯახის რეაქცია თქვენს გადაწყვეტილებაზე?

- ჩემი ოჯახი ყოველთვის მხარს მიჭერდა. ვიცი, რომ, ჩემგან განსხვავებით, ფეხბურთელი გოგონების უმეტესობას პრობლემა ჰქონდა ოჯახის წევრებთან, მაგრამ მე გამიმართლა. ისინი ყოველთვის გვერდით მედგნენ და მეხმარებოდნენ, დამყვებოდნენ ვარჯიშებზე, თამაშებზე. ახლაც ასეა, დედა გამომყვა თბილისში და მარტო არ მტოვებს, მამა კი ჩხოროწყუში დარჩა და იქიდან მეხმარება.

- საზოგადოების რეაქციაზე რას გვეტყვით?

- ძალიან კარგად მახსოვს გარშემომყოფების რეაქცია. მათ მოსწონდათ ის ფაქტი, რომ ფეხბურთს ვთამაშობდი და საქებარ სიტყვებს არასდროს იშურებდნენ. ძალიან უკვირდათ, რომ ასე კარგად ვთამაშობდი.

- რა გზა გაიარეთ, ამ შედეგისთვის რომ მიგეღწიათ?

- რთული გზა გავიარე. 13 წლის ასაკში პირველად მომიწია მშობლების გარეშე, დამოუკიდებლად თბილისში გადასვლა. ჩემთვის რთული პერიოდი იყო, რადგან სახლი და ოჯახი მენატრებოდა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ვარჯიშს ვაგრძელებდი. ვფიქრობ, აქამდე სწორედ ფეხბურთისადმი ჩემმა სიყვარულმა მომიყვანა. არასდროს მიფიქრია თამაშისთვის თავის დანებებაზე. ყოველთვის ყველაფერზე მეტ დროს ფეხბურთს ვუთმობდი, გამუდმებით ვვარჯიშობდი - წვიმაში, ქარსა თუ სიცხეში.

- ლიეტუვასთან თამაშის დროს ერთადერთი გოლი თქვენ გაიტანეთ...

- გოლის ემოცია განსაკუთრებული იყო. მაშინ წარმოვიდგინე, თუ იმ პენალტს გავიტანდი, რამხელა სიხარულს მოვუტანდი ჩემს გუნდს და ქვეყანას. ჰოდა, დავარტყი და გავიტანე. დღემდე მიჭირს ამ ემოციებზე საუბარი.

- სანამ პლეი ოფში გახვიდოდით, სირთულეებიც გქონდათ...

- ყველაზე რთული პერიოდი იყო, როცა გუნდი ყველა თამაშს აგებდა და მოტივაცია დაკარგული გვქონდა. ყოველთვის ბევრს ვშრომობდით და ბოლომდე ვიხარჯებოდით, მაგრამ - უშედეგოდ. ახლა ყველაფერი შეიცვალა, ნაკრებმა მოგების გემო შეიგრძნო და ჩვენც ვხედავთ, რომ შრომასა და მონდომებას ბოლოს შედეგი მაინც მოაქვს, ეს კი უფრო მოტივირებულს გვხდის უკეთესი შედეგების მისაღწევად.

- როგორ შეაფასებთ გიორგი გველესიანის განცხადებას, რომ ფეხბურთი ქალების საქმე ნაკლებად არის, თუმცა თქვენი წარმატებაც აღნიშნა და მოგილოცათ კიდეც. ამ ამბავს ქალთა საფეხბურთო სამყაროში, და არა მარტო, ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა.

- სიმართლე გითხრათ, არ მწყენია. ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ და საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება ყველას აქვს. მან აღნიშნა, რომ თვალს გვადევნებს და ნელ-ნელა აზრიც ეცვლება დადებითისკენ ქალთა ფეხბურთთან დაკავშირებით. მისი ნათქვამი მიგვანიშნებს, რამდენად პროგრესირებს ქალთა ფეხბურთი. ის ეროვნულ ნაკრებში ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია და ძალიან დიდ პატივს ვცემ.

- აქვე მკითხველს ვეტყვი, რომ გველესიანმა საკუთარი მაისურიც გამოგიგზავნათ.

- დიახ, რითაც ძალიან გამახარა. მან არა მარტო მაისური მაჩუქა საკუთარი ხელმოწერით, არამედ ვიდეომიმართვაც ჩამიწერა, რითაც ძალიან გამაბედნიერა.

- ქალთა ფეხბურთის წარმატების დრო მოვიდა?

- რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ახალია ქალთა ფეხბურთი საქართველოში, უკვე დავამტკიცეთ, რომ თამაში შეგვიძლია და ამხელა წარმატებებს ვაღწევთ, ახლა კი დროა, უფრო და უფრო წინ ვიაროთ.

- რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ, საქართველოში ქალთა ფეხბურთი უფრო რომ განვითარდეს?

- ვფიქრობ, მეტი ყურადღება და ფინანსებია საჭირო.

- ძირითადად, რა გასხვავებაა ქალთა და მამაკაცთა ფეხბურთს შორის?

- ვფიქრობ, განსხვავება მხოლოდ ფიზიკურ მონაცემებშია. ტაქტიკა და თამაშის სტილი თითქმის ერთნაირია. ფიზიკური უპირატესობის გამო მამაკაცთა ფეხბურთი უფრო სწრაფტემპიანია.

- საყვარელი გუნდი და ნაკრები...

- გუნდი - „მანჩესტერ იუნაიტედი“, უეინ რუნის გამო, საყვარელი ნაკრები კი ინგლისი, ასევე რუნის გამო. ამ ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ ჩემთვის აღარც „მანჩესტერია“ ისეთი ძლიერი და აღარც ინგლისის ნაკრები, რაზეც გული მწყდება. მისი თამაში როცა მენატრება, „იუთუბში“ ვუყურებ საინტერესო მომენტებს, რაც დიდ ნოსტალგიაში მაგდებს, რადგან ბავშვობიდან უეინ რუნის თამაშზე გავიზარდე, ის ჩემი კერპია.

- თქვენი ცხოვრება - ფეხბურთს მიღმა.

- უმეტეს დროს ძილს ვუთმობ, რადგან ენერგიის აღდგენაში მეხმარება, ხანდახან კი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან დროს მეგობრებთანაც ვატარებ.

- რა არის ფეხბურთი თქვენთვის?

- ის ჩემთვის ცხოვრებაა.

- თქვენი ფავორიტები - ეროვნულ ნაკრებში?

- გიორგი ქოჩორაშვილი, გიორგი გველესიანი და ზურიკო დავითაშვილი.

- მაიკოს ოცნება?

- ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე თამაში და „მანჩესტერ იუნაიტედის“ გუნდის ფეხბურთელობა.

ვარსკვლავთცვენა – ბათუმის კორტებზე

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მუსიკალური დღესასწაული შედგა - სამი დღის განმავლობაში ბათუმმა, ტრადიციულად, შავი ზღვის ჯაზფესტივალს უმასპინძლა. შეუძლებელია, სიტყვებით აღწერო ის ატმოსფერო და ენერგეტიკა, რაც ამ დღეების განმავლობაში ტრიალებდა ქალაქში და მელომანების გულში, რომლებიც წლიდან წლამდე ელოდებიან ვარსკვლავთცვენას

რიგით მე-17 ჯაზფესტივალიც არ ყოფილა გამონაკლისი, ბათუმის კორტების სცენამ ისეთი დონის არტისტებს უმასპინძლა, როგორებიცაა 11 გრემის მფლობელი მუსიკოსი ფილიპ ლასიტერი, ვირტუოზი დრამერი ჯოჯო მაიერი და მუსიკის ისტორიაში ყველაზე ცნობილი ოჯახი, პოპჯგუფი The Jacksons.

- ფესტივალის სამივე დღე განსაკუთრებული იყო. ვერ წარმოიდგენთ, ისეთი ბედნიერი ვბრუნდები თბილისში... თუმცა მაინც გამოვარჩევ ჯოჯო მაიერის საღამოს. ჩემთვის ეს ადამიანი სასწაულმოქმედია, მართლაც, რიტმის ალქიმიკოსია. თვალდახუჭული ვუსმენდი შვეიცარიელ ჯადოქარს, რომელიც დრამინგის ოჯახის ერთ-ერთი განუმეორებელი გენიოსია და რომელსაც განვითარების არცერთ ეტაპზე დაბლა არ დაუწევია თამასა. მადლობა შავი ზღვის ჯაზფესტივალს, მის ორგანიზატორებს, რომლებიც გვანებივრებენ მსოფლიო დონის ვარსკვლავების ჩამოყვანით და მელომანებს უდიდეს ბედნიერებას გვანიჭებენ, - გვითხრა დედაქალაქიდან სპეციალურად ჯაზფესტივალისთვის ჩამოსულმა სტუმარმა დავით ნოღაიდელმა.

მუსიკოსმა კონცერტის დასრულების შემდეგ მედიასთან კომენტარი გააკეთა, მადლობა გადაუხადა ქართველ მსმენელს და დასძინა, რომ მისთვის მთავარი იყო დაუვიწყარი შოუ, ის, რომ სასიამოვნო წუთები ეჩუქებინა კონცერტზე მისული თითოეული ადამიანისათვის.

- ჩემი მუსიკა ჯაზის დიდი ტრადიციებისა და იმ ყღერადობის გაგრძელებაა, რასაც დიდი მუსიკოსები ქმნიდნენ. ბედნიერი ვარ, რომ 11 წლის შემდეგ ქართველ მსმენელთან შეხვედრის შესაძლებლობა ისევ მომეცა. მათი ოვაციებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ვფიქრობ, ძალიან სასიამოვნო საღამო გამოგვივიდა, - გვითხრა ჯოჯო მაიერმა.

ფესტივალი გრანდიოზული კონცერტით დახურა ჯექსონების ოჯახმა, რომელიც საქართველოს 50-ე საიუბილეო ტურნეს ფარგლებში ეწვია. მათ მიერ წარმოდგენილმა დაუვიწყარმა შოუმ და ჯერმინ და მაიკლ ჯექსონების მიერ შექმნილმა მეგაჰიტებმა კიდევ ერთხელ გვამოგზაურა პოპის სამყაროში და დაგვარწმუნა, რომ რა დროც უნდა გავიდეს, მუსიკა, რომელსაც მაიკლ ჯექსონი ქმნიდა და მღეროდა, უკვდავია. აღსანიშნავია, რომ პოპის მეფე მაიკლ ჯექსონის სასცენო დებიუტი სწორედ ძმების ჯგუფში შედგა, იქამდე, ვიდრე ის სოლოშემოქმედებით მსოფლიოს დაიპყრობდა.

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ბათუმს, ზღვისპირა ქალაქს უხდება ფესტივალები, განსაკუთრებით კი ჯაზფესტივალი. მადლობა ორგანიზატორებს, რომ წლიდან წლამდე საოცარი არტისტების ჩამოყვანით გვანებივრებენ. სამი დაუვიწყარი მუსიკალური საღამო შედგა. ჯაზფესტივალს სულ სხვანაირი ენერგია მოაქვს, ასე მგონია, აქ მიღებული მუხტი კიდევ დიდხანს გამყვება. გამორჩეულად ველოდებოდი ჯოჯო მაიერს, თუმცა, ასევე, მნიშვნელოვანი იყო ჯექსონების ოჯახის ხილვა და მოსმენა. ამ ფესტივალმა შეძლო გემოვნებიანი მსმენელი აღეზარდა ქვეყნისთვის, მადლობა მას ამისთვის, - აღნიშნა მუსიკოსმა ნოდარიკო ხუციშვილმა.

გაზეთ „აჭარასთან“ შავი ზღვის ჯაზფესტივალი შეაფასა „ისთერნ ფრომოუშენის“ დამფუძნებელმა მიხეილ გიორგაძემ. მისი თქმით, მელომანებს მომავალ წლებშიც არანაკლებ შთამბეჭდავი, საინტერესო და მრავალფეროვანი პროგრამა ელოდებათ. ასევე, ისაუბრა ფესტივალის მნიშვნელობაზე, განვლილ წლებსა და სამომავლო პერსპექტივაზე.

- ალბათ, დამეთანხმებით, ასეთი ხანგრძლივობის მდიდარი და მრავალფეროვანი ტრადიცია ძალიან ბევრს ნიშნავს ნებისმიერი ფესტივალისთვის. შავი ზღვის ჯაზფესტივალი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ ძალიან დიდ ავტორიტეტს სძენს რეგიონს, ქალაქს, ქვეყანას. ასეთი მასშტაბის და ხარისხის ფესტივალი საერთაშორისო არენაზე ჩვენი ქვეყნისთვის კარგი რეკლამაა. წლევანდელი საფესტივალო პროგრამა განსაკუთრებული გამოგვივიდა. პირველ დღეს მსმენელის წინაშე 11 გრემის მფლობელი ფილიპ ლასიტერი წარსდგა თავის ბენდთან ერთად, მეორე დღე მუსიკალურ ინდუსტრიაში ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ თანამედროვე დრამერ ჯოჯო მაიერს დაეთმო. დაუჯერებელი იყო, რომ მისი ეს შთამბეჭდავი შოუ მართლა ლაივში სრულდებოდა და არა რომელიმე კომპიუტერული პროგრამის დახმარებით. რაც შეეხება ფესტივალის დასასრულს, საერთაშორისო მუსიკალურ ინდუსტრიაში ყველაზე ცნობილი ჯექსონების მუსიკალური ოჯახი შთამბეჭდავი შოუთი წარსდგა მსმენელის წინაშე. ჯგუფმა ზოგი ბავშვობაში დააბრუნა, ზოგს კი კიდევ ერთხელ განაცდევინა, რა არის ნამდვილი მუსიკა, როგორია ჯექსონების შემოქმედება და როგორი იყო მაიკლ ჯექსონი. ვფიქრობ, ბათუმს კიდევ ერთი სამდღიანი და 24-საათიანი ძალიან მაგარი დროსტარება და გართობა ვაჩუქეთ. რაც შეეხება პროექტის მნიშვნელობას, არ მინდა გადაჭარბებული მოგეჩვენოთ, მაგრამ რომ დავუფიქრდეთ, ძალიან ბევრი თვალსაზრისით, მათ შორის პოლიტიკურითაც, იგი მართლაც შთამბეჭდავია ქვეყნის პოპულარიზაციის კუთხით. სოციალურიცაა ადამიანების ერთ ადგილას თავმოყრის, მათი კომუნიკაციის თვალსაზრისით. ამ ფესტივალს აქვს განათლების ფუნქციაც, რადგან აქ შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანმა რაიმე ახალი შეიმეცნოს, გაიგოს, რა სიახლეებია თანამედროვე მუსიკალურ ინდუსტრიაში. გარდა ამ ყველაფრისა, ფესტივალი ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკის კუთხითაც. ვიცით, რომ ფესტივალის დღეებში არაერთი სტუმარი ჩამოდის ქვეყანაში, ქალაქში, რაც ნიშნავს დამატებით ფინანსურ შემოსავლებს ადგილობრივ ეკონომიკაში, რაც, თავის მხრივ, დამატებით სამუშაო ადგილებს, ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტებში დამატებით გადასახადებს ნიშნავს, ასე რომ, ძალიან ბევრი თვალსაზრისით, მართლაც, გამორჩეული და ძალიან მნიშვნელოვანი ფესტივალია როგორც რეგიონისთვის, ისე ქვეყნისთვის. ერთადერთი, რასაც ვისურვებდი შემდგომი ფესტივალებისთვის, ეს არის გამომსვლელთა რაოდენობის ზრდა, რაც, ბუნებრივია, პირდაპირ არის დაკავშირებული ფესტივალის ბიუჯეტთან, ანუ, რაც უფრო მეტად განვითარდება ქვეყანა, ადგილობრივი ბაზარი, შესაბამისად, სპონსორ კომპანიებს შეეძლებათ, ვთქვათ, ამ კონკრეტული ფესტივალისთვის კიდევ უფრო მეტი თანხის გამოყოფა, მოგვეცემა საშუალება, უფრო მეტი ვარსკვლავი მოვიწვიოთ ფესტივალზე, რაც ევროპის და ამერიკის მნიშვნელოვან ფესტივალებზე ხდება, თორემ, ხარისხობრივად, გარწმუნებთ, და ეს დღეს - ინტერნეტის ეპოქაში ძალიან ადვილი გადასამოწმებელია, რომ ყველაზე მოთხოვნადი არტისტები, ვინც ნებისმიერ ფესტივალზე შეიძლება გამოვიდეს, არიან ჩვენთან. ჩვენს ქვეყანას ვუსურვებ კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ფესტივალის მასშტაბი კიდევ უფრო გაიზარდოს, - გვითხრა მიხეილ გიორგაძემ.

ჯაზფესტივალის შესახებ ჩვენთან, ასევე, ისაუბრა „ისთერნ პრომოუშენის“ თანადამფუძნებელმა გიორგი კერესელიძემ. მისი განცხადებით, ბათუმს მომავალში უნივერსალური სივრცე დასჭირდება, სადაც შესაძლებელი იქნება არა მარტო მუსიკალური, არამედ სხვა სახის ღონისძიებების მასპინძლობაც.

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ არა პანდემია, ეს უკვე მეთვრამეტე ფესტივალი იქნებოდა. სასიხარულოა, რომ ფესტივალი დაუბრუნდა იმ სივრცეს, სადაც ყოველთვის ტარდებოდა - ბათუმის კორტებს. ეს სივრცე რაღაცნაირად ასოცირდება ამ ფესტივალთან და ყველას მოსწონს იმის მიუხედავად, რომ ღიაა. თითქმის არ ჩატარებულა არცერთი ფესტივალი წვიმის გარეშე, მაგრამ რაღაცნაირად უხდება კიდეც და ვფიქრობ, ფესტივალის ნაწილი გახდა წვიმა. როგორც ყოველთვის, წელსაც მრავალფეროვანი პროგრამა გვქონდა. მახსოვს, როცა იწყებოდა ფესტივალი, ყველა გაკვირვებული გვეკითხებოდა, რა გინდათ ივლისში ბათუმში, როცა სეზონი აგვისტოდან იწყებაო? მიზანიც სწორედ ის იყო, რომ რაღაცნაირად სეზონი ივლისისკენ გადმოგვეწია და ვფიქრობ, ფესტივალმა არაჩვეულებრივად მოახერხა ეს. ფესტივალი წლიდან წლამდე ვითარდება, ჩვენ კი ვპირდებით მელომანებს, რომ მომავალში უფრო მეტ საინტერესო არტისტს ჩამოვიყვანთ და შთაბეჭდილებებით უფრო დატვირთულ დღეებს ვაჩუქებთ მათ, - აღნიშნა გიორგი კერესელიძემ.

შავი ზღვის ჯაზფესტივალი ერთი წლით დაგვემშვიდობა და მომდევნო პაემნის ადგილად ისევ ბათუმი დაგვითქვა.

არქეოლოგიური სამუშაოები – ოთოლთას ციხეზე

ჭვანის ხეობის ისტორიულ ძეგლებს შორის ოთოლთას ციხე გამორჩეულია. ისტორიული წყაროები გვამცნობს, რომ ამ ციხეში გარკვეული დრო დაჰყო ბაზალეთის ომს განრიდებულმა დიდმა მოურავმა გიორგი სააკაძემ



სულ მალე დაიწყება ამ ისტორიული ძეგლის რესტავრაცია-კონსერვაცია. ამ ეტაპზე, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით, ოთოლთას ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ითვალისწინებს წინა საუკუნის 80-იან წლებში შესწავლილი, ციხის შიდა და გარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების როგორც კვლევით, ისე გაწმენდით სამუშაოებს, რომელსაც პროფესორი ტარიელ ებრალიძე უძღვებოდა. მას ეხმარებოდნენ ისტორიის აკადემიური დოქტორი ნარგიზ სურმანიძე და დოქტორანტი ციცინო ბეჟანიძე. სამუშაოების მიზანი იყო ციხის მშენებლობისა და ფუნქციონირების, აქ არსებული მარნების, თონეების და სხვა შენობა-ნაგებობების ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება, სათანადო ფიქსაცია და მათი მომზადება სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოებისათვის. ოთოლთას ციხის არქეოლოგიური სამუშაოებისთვის გამოყოფილია 31 000 ლარი. ექსპედიციის მიერ შესრულებული სამუშაოები მოინახულეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორმა ზაურ ახვლედიანმა, არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსებისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსმა ლაშა ასლანიშვილმა, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე მალხაზ ტაკიძემ.

სტუმრად – პოლიტიკოსი

ფრიდონ ფუტკარაძე შუახევის მუნიციპალიტეტის პირველი არჩეული მერი იყო. ამ თანამდებობაზე არჩევიდან სამი წლის შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატად აირჩიეს ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში. მეოთხე წელია, უმაღლესი საბჭოს კომისიას ხელმძღვანელობს

შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი სტრუქტურის პირველ პირად მის მუშაობას უკავშირდება ისეთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება, როგორებიცაა: ფეხბურთის სტადიონის რეკონსტრუქცია, დაბა შუახევის ცენტრის კეთილმოწყობა, შუახევის საჯარო სკოლის შენობის აგება, სოფლებში მისასვლელ გზებზე ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება და სხვა.

ოთხი მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი ამომრჩეველთა ინტერესების შესაბამისად საქმიანობს. მისი ინიციატივითა და შუამდგომლობით ამომრჩევლებს რიგი სოციალური პრობლემები მოუგვარდათ. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების, მათთვის ახალი საცხოვრისის გამონახვის მიმართ. საქმიანი ურთიერთობები აქვს ოთხივე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.

ფრიდონ ფუტკარაძის საზოგადოებრივ-რუდუნებითი დარბაზის „წუთისოფელი ასეა“ სტუმრობისას დარბაზის ხელმძღვანელმა ოთარ ცინარიძემ საზოგადოებას მისი საქმიანობის ცალკეული ეპიზოდები გააცნო. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მისი მამის - ალექსანდრეს, ძმების ტარიელ და თეიმურაზ ფუტკარაძეების გახსენებას. ტარიელი ქალაქ ბათუმის პირველი პრეფექტი, დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერი, ცნობილი ქართველოლოგი, 23 დოქტორანტის მეცნიერი ხელმძღვანელი, 20-ზე მეტი გაზეთისა და ჟურნალის დამფუძნებელი, რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. ტარიელის სახელს უკავშირდება სახალხო დღესასწაულ „კუნტიჯვაროობის“ წამოწყება, ფერეიდანსა და იმერხევში სამეცნიერო ექსპედიციების გამართვა.

ფრიდონისა და მისი ოჯახის ღვაწლზე, ასევე, ისაუბრეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მწერალმა ვახტანგ გოგრაჭაძემ, პოეტმა ირმა კეკელიძემ, თანაკლასელმა რუსუდან შავაძემ, მეგობრებმა დავით დავითაძემ, ბეჟან ბერიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, მოსამართლე გოჩა ფუტკარაძემ, პარლამენტარმა ანზორ ბოლქვაძემ, ემერიტუსმა პროფესორმა რაჟდენ ფუტკარაძემ.

შეკრებილთა წინაშე მხატვრული ნომრებით წარსდგა შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ავთენტური ანსამბლი „ჭვანა“.

- 3 აგვისტოს დაბადებიდან 48 წელი მისრულდება, - თქვა ფრიდონ ფუტკარაძემ, - საზოგადოება ასე გულახდილად, ყოველგვარი პომპეზურობისა და ზედმეტობის გარეშე პირველად მომეფერა. მეგობრებმა, თანატოლებმა ჩემი საქმიანობის, მათთან ურთიერთობის მრავალი ეპიზოდი შემახსენეს. ერთხელ კიდევ პატივი მივაგეთ გარდაცვლილი ახლობლების ხსოვნას. მადლობა ყველას საინტერესო და შინაარსიანი დღის ჩუქებისთვის.

შუამთობა – ბეშუმში

4 აგვისტოს კურორტ ბეშუმში სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ გაიმართება

ღონისძიების ფარგლებში, მთელი დღის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და გასართობი აქტივობები.

12 საათზე, შუამთობის ოფიციალურ გახსნაზე, მოზეიმეთა წინაშე წარსდგება ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“, რომელიც ცეკვა „განდაგანას“ შეასრულებს.

კონცერტი გაგრძელდება ხულოს კულტურის ცენტრთან და სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების და მოწვეული ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობით, ასევე, მაყურებელს გაახარებენ ვოკალური ჯგუფები: „ურსა“, „ბანი“, „ქუჩის ბიჭები“.

ტრადიციულად აირჩევენ და დააჯილდოებენ „საპატიო ხულოელებს“.

14:00 საათიდან 17:00 საათამდე სპორტული ღონისძიებები დოღი, ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი გაიმართება.



დაჯილდოვდებიან სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯებულები.

ღონისძიებაზე მოზეიმეები, ასევე, ნახავენ საბავშვო აქტივობებს, საზაფხულო ატრაქციებს, სპეციალურ ინსტალაციებს, საინტერესო დეკორაციებს, მუნიციპალიტეტის ხეობების მიხედვით მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებს, ტრადიციული კერძების, რეწვის ნიმუშების, ანტიკვარული საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვას.

წიგნი ავტორის სახელსა და სახეს წარმოაჩენს

„კარგი წიგნით ხელში ადამიანი არასდროს იქნება მარტო“, - უთქვამს ბრძენს. ჩვენს ქვეყანაში წიგნი ისევ რომ რჩება ქართული ოჯახის განძად, ამ ჭეშმარიტებაზე არავინ დავობს. სასიხარულოა, რომ ქართველი ავტორები საინტერესო გამოცემებით გვანებივრებენ და საყოველთაო მადლობას იმსახურებენ, თუმცა არა - ყოველთვის. ჩემს ხელთაა სამენოვანი წიგნი-ალბომი „მოგზაურობა საქართველოში“.

თვალის ერთი გადავლებით, მასში შეტანილი ფოტოებითა და ტექსტებით დაინტერესებული მკითხველი მადლიერი უნდა იყოს, ფოტოების ხარისხსაც წუნი არ დაედება, მაგრამ თუ ამ წიგნს სიღრმისეულად განვიხილავთ, ავტორისა და გამომცემელ სერგო ედიშერაშვილის მიმართ შენიშვნები გაუჩნდება.



მოკვდავი ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, ადგილის დედის დესპანია. სასაყვედუროა, რომ ბატონ სერგოს გვერდი აუვლია სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძისთვის, არადა, სადაც გუდაური, ბაკურიანი და სვანეთია წარმოჩენილი, იქ გოდერძიც უნდა იყოს. როგორც ჩანს, ქალაქიდან გასვლა დაეზარათ და მხოლოდ „ზეციდან დანახული ბათუმი“ გამოსახეს წიგნი-ალბომის გვერდებზე.

ერთ-ერთ გვერდზე სამი ფოტოა წარმოდგენილი. ყოვლად გაუმართლებელია ამ ფოტოებისა და ტექსტის შინაარსი: „აჭარის მთიანეთის მდინარეებზე (მახო, მახუნცეთი, დანდალო, ზომლეთი, კინტრიში) დღესაც ნახავთ ქვის თაღოვან უძველეს ხიდებს“, წერია ამ გვერდზე, ფოტოები კი უფრო ფოტობრალდებებია, ვიდრე უძველესი კულტურის ნიმუშების წარმოჩენა. გაუგებრობას იწვევს მესამე ფოტო. მასზე ხიდის მსგავსი ნაგებობა საერთოდ არ ჩანს. ხმაურს არც ამაზე ავტეხდით, ხიდებისა და მდინარის სახელები სწორად რომ იყოს მითითებული. მდინარის სახელი არა ზომლეთი, არამედ ზამლეთია, თაღოვანი ხიდი კი ფურტიოშია. თუ ჩამოთვლას აპირებდნენ, რატომ გამოტოვეს უჩხოს, მაჭახელას, წონიარისის, ჭვანის, ბეღლეთის ხიდები. ფოტოები თუ არ ჰქონდათ, ეთხოვათ და ჩვენ მივაწვდიდით.

წიგნი ისტორიაა, იგი ავტორის სახელსა და სახეს წარმოაჩენს. მას ზედმიწევნით უშეცდომოდ საკმაოდ დიდ ფასს რომ ადებ, მიზნობრივად უნდა იყოს შედგენილი.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„URSA“ – ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲡ ᲕᲔᲯᲐᲮᲔᲑᲘᲗ

ᲜᲐᲜᲐ ᲐᲑᲣᲚᲐᲫᲔ 577 20 35 90

მუსიკოსმა ნებისმიერი ასაკის ადამიანის უანგარო სიყვარული და ნდობა რომ მოიპოვოს, პროფესიონალიზმთან ერთად გულწრფელობის უნარიც უნდა შესწევდეს, რათა ზუსტად მიიტანოს სათქმელი მსმენელამდე და განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინოს მასზე

„URSA“ სწორედ ის ჯგუფია, ვისი სიმღერებიც პირველი მოსმენისთანავე შეიყვარეს ადამიანებმა. მათი ნამღერი სულ სხვანაირ ენერგეტიკას ქმნის, ატმოსფეროს, სადაც ყველა ერთნაირად ლაღი და ბედნიერია. „URSAS“ კონცერტმა, რომელიც ახლახან გახსნილ L Club Batum-ში გაიმართა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჯგუფის მთავარი იარაღი მაყურებელთან გულწრფელი ურთიერთკავშირია. როგორც სოლისტმა ***ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔᲛ*** *აღნიშნა, ის სიყვარული, რასაც საზოგადოებისგან იღებენ, უფლის წყალობაა, შეუფასებელი საჩუქარია და სულ უნდა გახსოვდეს, რომ განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება. - მომღერალი რომ არ ვიყო, ალბათ, ჩემი პროფესიით ვიმუშავებდი - ხიდებს ავაშენებდი, - მითხრა მან. ვფიქრობ, თავისი შემოქმედებით, გულწრფელობის უნარით მან უკვე ააგო მყარი ხიდი მსმენელის გულამდე.*

- გარდა პროფესიონალიზმისა, რა არის საჭირო, მსმენელის ნდობა და სიყვარული რომ მოიპოვო?

- პირველ რიგში, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და აჭარის ყველა მკვიდრს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო იმ სითბოსა და სიყვარულისთვის, რომელსაც ჩვენ მიმართ იჩენენ. დაუვიწყარია, წარუშლელია ის შთაბეჭდილებები, რასაც აჭარაში ვიღებთ. აქ თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ, რისთვისაც კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას. აქვე შემიძლია დავამატო ისიც, რომ ყველა მაგარი მომღერალი, რომელსაც ვიცნობ, ან ბათუმელია, ან მჭიდრო კავშირი აქვს ამ

რეგიონთან. მართლა არ ვიცი, ეს რისი „ბრალია“ - ზღვის, მთის თუ ორივესი ერთად, მაგრამ „არანორმალურად“ კარგად მღერის ყველა აქაური. რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ მოვიპოვეთ ასეთი სიყვარული, მჯერა, ეს უფლის ძალიან დიდი წყალობაა. კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენ არ ვართ განსაკუთრებული მომღერლები, ჩვეულებრივები ვართ, უბრალოდ, გამოვდივართ სცენაზე და ნამდვილები ვართ მსმენელის წინაშე, როგორც ბევრი სხვა. გავიმეორებ, რომ ეს სიყვარული ძალიან დიდი წყალობაა და მადლობა უფალს ამისთვის. მართლა არ მაქვს კონკრეტული პასუხი, რატომ მოხდა ასე, მაგრამ ყოველდღე სიყვარულის უდიდეს ტალღებთან გვიწევს შეჯახება და ეს ყველაზე ამაღლებული და სასიამოვნო განცდაა.

- მაინც, როგორ ფიქრობთ, რა არის თქვენი, როგორც შემოქმედი ადამიანის მთავარი იარაღი, წარმატების ფორმულა?

- ალბათ ისევ და ისევ გულწრფელობა. ნებისმიერი ადამიანი, როგორც უნდა მღეროდეს, რასაც უნდა აკეთებდეს მარტო - სიმღერა იქნება ეს, ცეკვა თუ სხვა რამ, ამას ბევრად უკეთ გააკეთებს სხვებთან ერთად. ყველაზე დიდი ძალა ერთობაშია. საღამოებზე, როცა მაყურებლებთან ერთად ვმღერით, უსაზღვრო ემოცია და ენერგია იღვრება. მინდა „URSAS“ კონცერტზე მოსულმა ყველა ადამიანმა ბოლომდე ისიამოვნოს, დაივიწყოს ყოფითი სიმძიმე და გათავისუფლდეს. არ მაინტერესებს, ხმა ჩამიწყდება, ფეხი გადამიბრუნდება თუ სხვა რამ მომივა სცენაზე, მთავარია, მსმენელი ბედნიერი წავიდეს სახლში.

- რომ არ ყოფილიყავით მომღერალი, რა პროფესიას აირჩევდით?

- პროფესიით გზების ინჟინერი ვარ. მუსიკოსი რომ არ ვყოფილიყავი, ალბათ, ხიდებისა და გზების მშენებელი გიორგი ძოწენიძე იდგებოდა ახლა თქვენ წინ.

- როგორია თქვენი წილი ბათუმი და აქაური მსმენელი?

- არ მინდა, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ ჩემი საყვარელი ქალაქი სწორედ ბათუმია. ძალიან მიყვარს აქ ყოფნა. უთბილესი და მოსიყვარულე ხალხი ხართ, ვისთანაც თავს ბედნიერად ვგრძნობ.

- როგორც შემოქმედ ადამიანს, რას შთაგაგონებთ ეს ქალაქი?

- ადამიანები, რომლებიც ბათუმში ცხოვრობენ, გარემო, რომელიც აჭარაში გვხვდება, ნებისმიერ არტისტს აძლევს იმის საშუალებას, რომ საკუთარი თავი ბოლომდე გამოხატოს. აქ ისეთ სიყვარულს ვგრძნობ და ეს ისე მმუხტავს, შემიძლია იმაზე ათასჯერ მეტი შევქმნა, ვიდრე აქამდე შემიქმნია. ზოგადად, მგონია, რომ ყველა ხელოვანისთვის, და არამარტო, აჭარა შთაგონების დაუშრეტელი წყაროა.

- რომელი თქვენი სიმღერა ჰგავს და უხდება ყველაზე მეტად ბათუმს?

- რა თქმა უნდა, „სიყვარულის განდაგანა“. ეს სიმღერა შეიქმნა იმიტომ, რომ ჩვენი წილი სითბო დაგვებრუნებინა იმ სიყვარულისთვის, რასაც ამ კუთხეში გვჩუქნიან. შესაბამისად, ეს სიმღერა აჭარას, აქაურებს ეკუთვნით და ამიტომ არის ყველაზე ლამაზი სიყვარულის განდაგანა.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲕᲘᲠᲘᲓᲝᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲛᲖᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲕᲠᲝᲑᲐ?

ცხელი ზაფხულის დღეები ყოველთვის ზღვაზე ან მთაში დასვენებასთან ასოცირდება. ამ პერიოდში ხშირია მზით დამწვრობა. როგორც წესი, ეს პირველი ხარისხის დაზიანებაა, რომლის დროსაც კანის მთლიანობა არ ირღვევა. მხოლოდ სიწითლე, სიმხურვალე და მტკივნეულობა აღინიშნება. მზეზე უფრო მეტხანს ყოფნისას შესაძლოა განვითარდეს მეორე ხარისხის დამწვრობა და გაჩნდეს სითხით სავსე წვრილი, თხელკედლიანი ბუშტუკები. თუ რუჯზე შეყვარებული ადამიანის შვებულება მხოლოდ სამ დღეს გრძელდება, ის შესაძლოა მეორე ხარისხის დამწვრობითაც კი გასარუჯად დაწვეს და მიიღოს კანის უფრო მძიმე დაზიანება. ასეთი სიმძიმის დამწვრობის შემდეგ კანზე ჩნდება პიგმენტური ლაქები, რომელთა მოშორება ძალიან ძნელია.

ზაფხულის პერიოდში, როდესაც მზის მცხუნვარება მაქსიმალურია, სხეულიდან სითხე სწრაფად გამოიყოფა. იმისათვის, რომ თერმორეგულაციის დარღვევამდე არ მივიდეს საქმე, ორგანიზმის გადახურება და კანის დაზიანება არ მივიღოთ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სხეულის სწორად და დროულად დატენიანებას. მედიკოსები გვირჩევენ, დავლიოთ დიდი რაოდენობით წყალი და სწორად შევარჩიოთ თავისა და კანის მოვლის საშუალებები, რაც დაგვიცავს მავნე ულტრაიისფერი გამოსხივებისგან.

ძალიან მარტივად შეგვიძლია მზით დამწვრობის თავიდან აცილება, თუ ელემენტარულ წესებს დავიცავთ. როგორც ვიცით, მზით დამწვრობა განსაკუთრებით საშიშია პატარა ბავშვებისა და მოხუცებისთვის. მათი კანი ძალიან თხელია, ამიტომ მზით დამწვრობას სწრაფად იღებენ. დანაშაულია პატარა ბავშვის, განსაკუთრებით, 11-დან 4 საათამდე, პლაჟზე გაყვანა. ის კი არა, ქოლგის ქვეშაც ძალიან საფრთხილოა.

მეცნიერების თქმით, რაც უფრო გრძელია ჩვენი ჩრდილი, მით უსაფრთხოა მზე, ხოლო რაც უფრო მოკლდება, მზით ადვილად ვიწვებით. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პლაჟზე სანტიმეტრით ვიაროთ და ჩრდილი

ვზომოთ. პირველი ორი ვიზიტი მზის გულზე დამცავი კრემის გარეშე არ შეიძლება, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც თეთრი კანი აქვს. ორ-სამ ვიზიტში ნელ-ნელა უნდა შევაჩვიოთ კანი ნამზეურს, მაგრამ თუ მაინც დავიწვებით, თითქმის ყოველთვის ხალხურ მედიცინას ვიყენებთ. პირველად ვისვამთ მაწონს, თუმცა აღმოჩნდა, რომ ვინაიდან მაწონი სითხეა, რომელიც მალე ორთქლდება (ასევე სპირტიც), იგი მხოლოდ ცოტა ხნით აგრილებს სხეულს. მეტი ეფექტი, სამკურნალო თვისებები ნაკლებად აქვს. თუ სხვა საშუალება არ გვაქვს და სადღაც „ტყეში“ ვართ, მაშინ მაწვნის წასმითაც შეიძლება შემოვიფარგლოთ, მაგრამ თუ აფთიაქი ახლოს არის, რა თქმა უნდა, იქ შეძენილი სპეციალური საშუალებები 2-3-ჯერ მეტ ეფექტს მოგვცემს.

პლასტიკური ქირურგი, დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი გუგა ქაშიბაძე ხშირად საუკეთესო რჩევებს იძლევა ამ საკითხზე. ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რაც უფრო მეტად ვშორდებით ზღვის დონეს და მაღლა ავდივართ, მით უფრო დაუცველები ვხდებით მზეში. მისივე თქმით, მაღალმთიან ადგილებში დამწვრობის განვითარებისთვის ნაკლები დროა საკმარისი, მზის გამოსხივების ინტენსივობა კი მეტია, ამიტომ ალპინისტები 38-39 გრადუსზე ხელთათმანებს იცვამენ და სამოსით მაქსიმალურად იფარავენ სხეულს.

„გუდაურში მზით დამწვრობის მიღება ზამთრის სეზონზეც შეიძლება. ასე რომ, ადგილის შესაბამისად, ყველგან უნდა დავიცვათ თავი მზის მავნე ზემოქმედებისგან და მაქსიმალური სიამოვნება მივიღოთ უქმე დღეებისგან. შესაძლოა, პრევენციულმა ღონისძიებებმაც ვერ გვიხსნას დამწვრობისგან, ამიტომ საჭიროა, ვიცოდეთ, როგორ დავეხმაროთ საკუთარ თავს და სხვას. აქ არცოდნა არცოდვა არ არის. ვერიდოთ თვითშემოქმედებას და დამწვრობის შემთხვევაში მივიღოთ: ტკივილგამაყუჩებელი - ტკივილისა და დისკომფორტის მოსახსნელად; ბევრი რაოდენობით სითხე - რა თქმა უნდა, ალკოჰოლურ სასმელებს არ ვგულისხმობთ; წავისვათ აფთიაქში ნაყიდი დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო. თუ მდგომარეობა გაუარესდა, მიმართეთ სამედიცინო დაწესებულებას. იქ ჩაგიტარებენ ინფუზიოთერაპიას (თუ ბევრი სითხე დაკარგეთ), დამწვარ მიდამოს სპეციალური ხსნარებით დაგიმუშავებენ, ჩამოგბანენ, რათა თავიდან აგაცილონ ინფიცირება და დააჩქარონ შეხორცებითი პროცესი. ძველად ჩვენი წინაპრები აკვირდებოდნენ და საკმაოდ გონივრულად იყენებდნენ მცენარეებს, მათ საკვებ და სამკურნალო თვისებებს, თუმცა XXI საუკუნემ მოგვცა შესაძლებლობა, მაღალგანვითარებული ფარმაკოლოგიური მედიკამენტებით ვისარგებლოთ, გამოვიყენოთ ნაცადი საშუალებები და ვაცადოთ მეცნიერებს, აკეთონ თავიანთი საქმე. თავი დავანებოთ დამწვრობისას მაიონეზის, მაწვნის, არაყის და სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებას და მივმართოთ უკვე აპრობირებულ მეთოდებს, ნუ ვეცდებით, ვიყოთ მეცნიერებზე ჭკვიანები. თუ სალაშქროდ წახვალთ, საველე პირობებში მიიღებთ დამწვრობას და სამკურნალო საშუალებები თან არ გექნებათ, შეგიძლიათ გამოიყენოთ მაწონი - მის შემადგენლობაში შემავალი სითხე აორთქლდება, შეამცირებს სიმხურვალეს და დროებით შვებას მოგგვრით, თუმცა ცივილიზაციასთან დაბრუნებული აუცილებლად უნდა შეხვიდეთ აფთიაქში და დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო შეიძინოთ“, - გვირჩევს გუგა ქაშიბაძე.

რუჯის მიღების შემდეგ ვცდილობთ ნამზეური დიდხანს შევინარჩუნოთ, ამისთვის შესაძლოა თავის მოვლის იმ საშუალებების შეცვლაც მოგიწიოთ, რომლებსაც მანამდე იყენებდით, ჯერ კი ყურადღებით უნდა გავეცნოთ მათ შემადგენლობას. თუ რომელიმე ხილის მჟავებს ან რეტინოლს შეიცავს, ნუღარ გამოიყენებთ. რატომ? იმიტომ, რომ მჟავებს მსუბუქი ამქერცლავი ეფექტი აქვს. ამ ინგრედიენტებს, უმთავრესად, ასაკსაწინააღმდეგო და ცხიმიანი კანის მოვლის საშუალებები შეიცავს.

მედიკოსების რჩევით, ალკოჰოლის შემცველ საშუალებებსაც უნდა ვერიდოთ. ალკოჰოლი შედის ბევრი დეოდორანტის, დასაბანი გელის, გამწმენდი ლოსიონის შემადგენლობაში. მართალია, ჩაციებული ლუდი და ღვინო ძალიან უხდება ზაფხულს, მაგრამ არა - რუჯს. ალკოჰოლი უფრო მეტად გამოაშრობს მზისგან ისედაც დასტრესილ კანს. უმჯობესია, მათ ნაცვლად მწვანე ჩაი სვათ, რომელიც მდიდარია ანტიოქსიდანტებით.

ხშირად მიირთვით ხილ-ბოსტნეული, განსაკუთრებით - წითელი და ნარინჯისფერი: პომიდორი, წითელი პაპრიკა, ნესვი, მარწყვი, ციტრუსები, სტაფილო.

მზის აბაზანების დროს ორგანიზმს არა მარტო გარედან, არამედ შიგნიდანაც სჭირდება დანოტივება, ამიტომ წყალი მუდამ თან იქონიეთ.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ!

მოამზადა
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ

მხატვრის ხელში უბრალო ფანქარიც კი სხივად გარდაიქმნება

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ირეალურ, ნატიფ სამყაროში თუ გსურთ მოხვედრა, ნატვრას გრაფიკოს-ფერმწერ თინათინ (თიკო) ჟღენტის ვერნისაჟის ნახვით და მისი უჩვეულოდ საინტერესო, იდუმალი შემოქმედების გაცნობით აისრულებთ. თიკო მხატვრობაში სიურრეალისტური მიმართულების წარმომადგენელია. იგი თავის სათქმელს შთამბეჭდავად, მაღალმხატვრულად გადმოსცემს. მხატვრის გრაფიკულ და ფერწერულ ნახატებთან ერთად მის მიერ დამზადებულ სამკაულებს, ნაქარგებს რომ ნახავთ, ის ამაღლებული განწყობა დაგეუფლებათ, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრა რომ იწვევს. ასეთი გრძნობა ასობით ადამიანს იპყრობს, როცა თიკოს შემოქმედებას ეცნობა. ისინი თავიანთ შთაბეჭდილებებს აფიქსირებენ ინტერნეტსივრცეში. თიკო სამხატვრო გამოფენებში წარმატებით მონაწილეობს, „პერსონა 2022“-ის ტიტულისა და ინდურ-ესპანური ონლაინგამოფენის „ოქროს სიგელის“ მფლობელია. ახლახან იგი „ფეისბუქმა“ შიგთავსის საუკეთესო შემოქმედად აღიარა. რა ბედნიერებაა, რომ მხატვრის ხელში უბრალო ფანქარიც კი სხივად გარდაიქმნება და საოცნებო სამყაროს კარებს გვიღებს, ხოლო მასთან საუბარი გვარწმუნებს, ხელოვნება ადამიანის სულის გამონათებაა და ჩვენს სიცოცხლეს სილამაზესა და საზრისს ანიჭებს. ვესაუბრებით **თიკო ჟღენტს**.*

- ახლახან „ფეისბუქმა“ შიგთავსის ყველაზე პოპულარულ შემქმნელად გაღიარათ... რამ განაპირობა ეს?



- უზარმაზარი ფეისბუქსივრცე... იგივე მედია, სივრცე, რომელმაც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე უამრავ ადამიანს მისცა შესაძლებლობა, თუნდაც უფრო მეტად ცნობილი გამხდარიყო ფართო საზოგადოებისთვის. ასევეა ხელოვანთათვის. ჩემი ეს წარმატება განაპირობა აქტიურმა ჩართვამ შემოთავაზებულ სხვადასხვა პროგრამაში. ხშირად ვაქვეყნებ ჩემს შემოქმედებას. ვტვირთავ ნახატებს, ნახატებიდან შექმნილ კოლაჟებს, მოკლე ვიდეოვერნისაჟებს, რამაც მნახველთა ინტერესი გამოიწვია. რა თქმა უნდა, ეს ერთგვარი მიღწევა და სტიმულია ჩემთვის. მადლობა მათ ასეთი შესაძლებლობისთვის.

- მრავალმხრივი შემოქმედი ხართ, თვითრეალიზაცია უკეთ სად, რომელ სფეროში შეძელით?

- როგორც იცით, მხატვარი-გრაფიკოსი ვარ. ვწერ ლექსებს, ჩანახატებს, ნოველებს, ვქარგავ ბისერებით და მეტალით. სფეროს ინტერესი, რომელშიც ვმუშაობ, ჩემი სულიდან მოდის... აბსტრაქტული და შემოქმედებითია... მუშაობის პროცესში მუდამ ძიებაა, რაღაც ახალი იბადება... ეს საოცრად საინტერესოა, რადგან ყოველი სიახლის პოვნით აღმოაჩენ საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს, მაგრამ ჩემი თვითრეალიზაცია სრულყოფილად მაინც მხატვრობით ხდება ურთულეს გრაფიკაში. აქ კონცენტრირდება ერთად ის შემოქმედებითი შესაძლებლობები, რაც არის ჩემში... ანუ სინთეზი ფერების, ხაზების, პოეზიის, ხელნაკეთობის... ჩემი გრაფიკული ხაზები, რომელიც არშიასავით, დასდევს ყოველ გამოსახულ ფიგურას, ეს უსასრულობის ხაზებია, რომელიც გრძელდება ყოველ ახალ ნახატში...

- „შემომეხატა ყვავილი“ - ასე ასათაურებთ ერთ ნამუშევარს... ანუ შემოქმედების რა ნიუანსზე ამახვილებთ ყურადღებას?

- პასუხად დავწერ ჩემს ლექსს:

„შემომეხატა ყვავილი,
მინდვრის მშვენება მარტივი...
ან როგორ არ დამეხატა,
ნათობდა უფლის ხატივით...
მუხლი მოვდრიკე, ვილოცე,
დიდება შენდა უფალო!
რამდენად დიდებული ხარ,
იმდენად ღრმა და უბრალო“...

- როცა ზამთრის პეიზაჟებს - ნახატების ამ წარმატებულ სერიას ქმნიდით, რა იყო თქვენი შთაგონების წყარო?

- შთაგონების წყარო საქართველოს განუმეორებელი, ულამაზესი ბუნებაა. ვფიქრობ, ყველა ქართველი ბუნებით შემოქმედია, ხელოვანია... ბუნება ისეთ სილამაზეებს ქმნის, შეუძლებელია, უცქირო და არ მიუძღვნა ლექსი, ნახატი, მუსიკა, სიმღერა. უფლისგან ხდება ეს ყველაფერი... გამორჩეულად ლამაზია გურიის დათოვლილი ხედები. არაერთი ზამთრის პეიზაჟი გამოხატავს მის მშვენიერებას. ხშირად აღნიშნავენ: „თქვენი პეიზაჟებიდან, ზამთრის სუსხის მიუხედავად, უდიდესი სითბო მოდის“.

- ინდურ-ესპანურ საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობა რით იყო თქვენთვის მნიშვნელოვანი?

- შემოქმედისთვის, მხატვრისთვის ნებისმიერ გამოფენაში მონაწილეობა უკვე წარმატებაა. დიდი პასუხისმგებლობაა, როცა შენი ნახატი გაგაქვს ფართო აუდიტორიის წინაშე შენი ქვეყნის სახელით. უდიდესი სიხარული ვიგრძენი, როცა ჩემმა ნახატმა „დედა და შვილი ვენახის ბაღში“ გაიმარჯვა და დაჯილდოვდა სერტიფიკატით, სიგელითა და დიპლომით. გამოიცა საერთაშორისო ჟურნალი, სადაც გამოქვეყნდა ჩემი ბიოგრაფია.

- როცა აცხადებთ, რომ ხელოვანმა მოძრაობაში უნდა გამოსახოს ნებისმიერი დეტალი, რა გაქვთ მხედველობაში?

- მოძრაობაში ანუ როგორც ცოცხალი... ასეთი კომპოზიციები მეტად საინტერესოა, თხრობადია, ყვება ამბავს... რისი თქმაც მსურს, გადმოვცემ ფუნჯით და ფერებით, ხაზებით... ხშირად მეუბნებიან: „თქვენს ნახატებში ჰაერის მოძრაობაც კი იგრძნობა“. ამ დროს თითქოს შედიხარ ნახატში, ესაუბრები პერსონაჟებს... ეს ხომ სიცოცხლის მარადიულობის სიღრმეა.

- იდუმალი, არაორდინარული, განუმეორებელი თიკო ჟღენტი - როცა ასეთი შეფასებები ხმიანდება თქვენ შესახებ, რა განწყობა გეუფლებათ?

- ასეთი შეფასებები დიდი ბედნიერება და უდიდესი პასუხისმგებლობაა. ხშირად ვუსვამ კითხვას საკუთარ თავს, რამდენად დამსახურებულად მივიღე ასეთი შეფასება, შევძელი კი, ან შევძლებ, ვიყო განუმეორებელი? ეს ხომ ურთულესი გზაა... გზა, რომელიც უდიდეს რუტინულ შრომას მოითხოვს. ეს

თი კრებულების დედააზრის მიხედვით ვქმნი ილუსტრაციებს. ეს არის ორი შემოქმედის ძალზე საინტერესო ტანდემი, რომელიც იბადება წიგნად.

- როცა პირველი გამოფენა მოაწყვეთ და დაიწყო დიდი გზა...

- პირველი გამოფენა საოცრად თბილ და ემოციურ მოგონებებთანაა დაკავშირებული - პირველი შეფასებები, შთაბეჭდილებები, მრავალი დამთვალიერებელი. საზოგადოება გიცნობს, როგორც მხატვარს... ეს, მართლაც, უდიდესი პასუხისმგებლობაა. პირველი გამოფენის შემდეგ იწყებ ფიქრს, რომ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო, რათა განვითარდე, შექმნა და დაიმკვიდრო შენი ხელწერა, უფრო ცნობადი გახდე. გრაფიკის ხელოვნება ურთულესია, მართლაც, უდიდეს შრომას მოითხოვს, რომ დაიხვეწოს პლასტიკა, ხაზები უნდა იყოს კლასიკური, ფორმები და ფერები - პოეტური... მოძრაობაში უნდა როკავდეს პლასტიკა და ჟღერდეს მუსიკა... პირველი გამოფენიდან დღემდე რთულ და დიდ გზას მივუყვები, გზას საკუთარი თავის შეცნობისა და აღმოჩენისა... ძიებების უსასრულო გზას...

- რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიური სავანე, როგორ გმუხტავთ ფერებითა და სახეებით?

- ძალიან ლამაზია ქართული სიტყვები - „მშობლიური სავანე“, ადგილის დედა, სადაც იშვი და დაივანე, მშობლიური მხარე, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე... შეუძლებელია, ასეთ ულამაზეს კუთხეში იცხოვრო და შემოქმედებითი თვალით არ აღიქვა ბუნება და თუ უფალმა ხელოვანის ნიჭი მოგმადლა, როგორ შეიძლება, არ გამოხატო შთაბეჭდილებები ნახატით, ლექსით ან მუსიკით... ჩემი მშობლიური სავანე ჩემი შთაგონების წყაროა. მისი სილამაზე და ადამიანის მშვენიერება არაერთ ნახატში მაქვს გადმოცემული. რაც მეტად გადის დრო, უფრო მეტ მშვენიერებას აღმოვაჩენ მის წიაღში... საოცარი ფერებია წელიწადის ყოველ დროს - ღია, ბაცი, ნაზი ფერებით შემკული გაზაფხული... ჭრელყვავილებპალიტრიანი ზაფხული... ოქრო ძოწში და ქარვაში ამოვლებული მსუყე შემოდგომა... და ზამთარი... ნაცრისფერი ბუნება ისვენებს, გადაიფარებს ფაფუკთოვლიან თეთრ მაქმანს და მიიძინებს... ეს არის ჩემი მუზა... ჩემი შთაგონება...

- „გზაზე შემომხვდა პეპელა“... როცა ამ ლექსს წერდით, რატომ კალმით (სიტყვით) და არა ფუნჯით (ფერით) დახატეთ პეპელა?

- ეს ლექსი პირდაპირი მნიშვნელობით გამოხატავს ბუნების მშვენიერ, ნაზ არსებას, პეპელას და ამავე დროს ალეგორიულია, იგულისხმება ადამიანი... ჩვენ, ადამიანები ხშირად ზედმეტად მკაცრები, დაუნდობლები ვართ, გვიჭირს ერთმანეთის გაგება... მეტი მიტევება, სიკეთე, სიყვარული, კეთილშობილება გვმართებს, თორემ, მართლაც წუთია წუთისოფელი. ერთმანეთისთვის სათქმელი, გასაკეთებელი სიკეთე არ უნდა დაგვირჩეს გვიანი...

აი ეს ლექსიც:

„გზაზედ შემომხვდა პეპელა,
ფრთაჭრელი თვალცრემლიანი,
ქვეყნის მშვენება მოჰქონდა,
მთელი სამყაროს ტრფიალი...
მივუახლოვდი, ვეახლე,
ხელზედ დავისვი ფრთიანი,
მივესათუთე, ვეფერე,
ვკითხე მწუხრისა ზიანი.
პასუხის თქმაც ვერ მოასწრო,
კითხვა დამირჩა გვიანი...
ჩემს ხელისგულზედ დასრულდა,
დამტოვა გულდარდიანი“.

- ციფრულ რეალობას როგორ ეწყობით, მხატვრობაში ამ მხრივ რაა მოსალოდნელი?

- ოცდამეერთე საუკუნის ტექნოლოგიები, მართლაც, განსაცვიფრებელია. ყველა სფერო მოიცვა, მათ შორის ხელოვნების ყველა დარგი. მათი მიზანია, რაც შეიძლება მეტად გაათავისუფლონ ადამიანი ფიზიკური თუ გონებრივი დატვირთვისგან. ასეთი მიღწევების დანერგვა შესანიშნავია ინდუსტრიულ მძიმე მრეწველობაში, მაგრამ ხელოვნებაში, კერძოდ, მხატვრობაში არ მომწონს... უამრავი, ერთი შეხედვით მომხიბვლელი სურათები იქმნება და ქვეყნდება სოცმედიაში. ერთი შეხედვით, ლამაზია, მაგრამ რა მხატვრული ღირებულება აქვს მას? ის ხომ ინდივიდუალურად, ადამიანის გონებაში, წარმოსახვით არ იქმნება? ადამიანის ღირებულებები მის განვითარებასა და შემოქმედებითობაშია. ყოველი ადამიანი საინტერესოა მისი ინდივიდუალიზმით. ის მუდამ ძიებაში უნდა იყოს, რომ შექმნას განსაკუთრებული, განსხვავებული, ახალი და თავისთავად საინტერესო. კომპიუტერით შექმნილი ნახატები საოცრად ჰგავს ერთმანეთს. სადღაა ხელწერა, რომელსაც ასე ვეძებთ და ვაღმერთებთ ხელოვნებაში? ვფიქრობ, ხელოვნება, ზოგადად, უნდა დარჩეს ადამიანის გონების ნაყოფი, როგორც მისი შემოქმედება და არა კომპიუტერით თუ სხვა ტექნოლოგიებით მართვადი. ეს უკანასკნელი დააკნინებს მის შესაძლებლობებს.

- თქვენი მუდმივი თანამგზავრი, მეკვლე, მასწავლებელი და შთამაგონებელი მხატვარი, მწერალი, მუსიკოსი...

- ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე იმპრესიონისტულმა სკოლამ. ძალიან მიყვარს ვან გოგი, გოგენი, მოდილიანი, როგორც მასწავლებელი - იტალიური რენესანსის გენიოსი, მეცნიერი, მხატვარი, არქიტექტორი, ანატომი, მოქანდაკე, ბუნებისმეტყველი, უდიდესი ლეონარდო და ვინჩი. ჩემთვის გამორჩეულია მისი ფერწერული ტილო „საიდუმლო სერობა“. კლასიკური მუსიკა ჩემი დიდი შთაგონების წყაროა. არაერთი ნახატი შევქმენი მუსიკის მოსმენის დროს. ვერ გამოვარჩევ, განწყობის მიხედვით ვუსმენ მოცარტს, ბეთჰოვენს, ვივალდის, ჩაიკოვსკის, შოპენს. გამორჩეული მხატვრული ნაწარმოებია „ვეფხისტყაოსანი“, რომლის დასურათებასაც ვფიქრობ.

- თქვენი ნახატების თითქმის ყველა პერსონაჟი ცად მაღლდება... ეს კოსმიური სიმბოლოები ახლა პროზაულად გადავთარგმნოთ...

> ***„შთაგონების წყარო საქართველოს განუმეორებელი, ულამაზესი ბუნებაა. ვფიქრობ, ყველა ქართველი ბუნებით შემოქმედია, ხელოვანია... ბუნება ისეთ სილამაზეებს ქმნის, შეუძლებელია უცქირო და არ მიუძღვნა ლექსი, ნახატი, მუსიკა, სიმღერა. უფლისგან ხდება ეს ყველაფერი...***

უნდა შევძლო, შეუძლებელი არაფერია, სადაც უფალია...

- ემიგრაციაში ყოფნის პერიოდს როგორ მოიგონებთ, რა კვალი დატოვა თქვენში?

- ურთულესია სამშობლოსთან ფიზიკურად დაშორება, გული და სული აქ გრჩება... უფრო მძაფრად გრძნობ, რამდენად ლამაზია, გიყვარს და გეამაყება შენი სამშობლო, ადარებ უცხო ქვეყანას და ყველაფერი საუკეთესო გინდა შენს ქვეყანაში იყოს... ემიგრაციული ყოველდღიურობა ჩემმა შემოქმედებამ შედარებით გამიადვილა... ჩემი სამყაროთი ვივსებდი მონატრების, ნოსტალგიის განცდას... თავისუფალ დროს ვხატავდი, ვწერდი, ვქარგავდი. შევქმენი მრავალი საინტერესო ტილო, წიგნის ილუსტრაციები. ეს, რა თქმა უნდა, უდიდეს ბედნიერებას მანიჭებდა.

- როგორ ფიქრობთ, თავისუფალი ადამიანი ხართ? როგორც ხელოვანი ჩარჩოებს არღვევთ?

- შემოქმედებითი მუშაობის პროცესში აუცილებელია თავისუფლება, რათა ზუსტად გამოსახო ის, რასაც ფიქრობ. შემოქმედებითი ძიება თავისთავად მოიცავს თავისუფლებას... ამ თავისუფლებაში იბადება ახალი ხაზები, ფერები, ფიგურები და მთლიანი კომპოზიცია. თავისუფლებაში ამბობ იმას, რაც გინდოდა გეთქვა... ჩარჩოებს, რა თქმა უნდა, ვარღვევ.

- მრავალი ავტორის წიგნი გამოიცა თქვენეული ილუსტრაციებით, ამ შემოქმედებით ურთიერთობებზე რას იტყვით, ავტორს თქვენ ირჩევთ თუ პირიქით?

- ძალიან ძვირფასი, თავისთავადი და საყვარელია ყველა ავტორი, მათი შემოქმედება და წიგნი ჩემთვის. უფრო ხშირად წიგნის ავტორები ირჩევენ ჩემს ნახატებს. ზოგჯერ მაბის წყაროა. მისი სილამაზე და ადამიანის მშვენიერება არაერთ ნახატში მაქვს გადმოცემული. რაც მეტად გადის დრო, უფრო მეტ მშვენიერებას აღმოვაჩენ მის წიაღში... საოცარი ფერებია წელიწადის ყოველ დროს - ღია, ბაცი, ნაზი ფერებით შემკული გაზაფხული... ჭრელყვავილებპალიტრიანი ზაფხული... ოქრო ძოწში და ქარვაში ამოვლებული მსუყე შემოდგომა... და ზამთარი... ნაცრისფერი ბუნება ისვენებს, გადაიფარებს ფაფუკთოვლიან თეთრ მაქმანს და მიიძინებს... ეს არის ჩემი მუზა... ჩემი შთაგონება...

- „გზაზე შემომხვდა პეპელა“... როცა ამ ლექსს წერდით, რატომ კალმით (სიტყვით) და არა ფუნჯით (ფერით) დახატეთ პეპელა?

- ეს ლექსი პირდაპირი მნიშვნელობით გამოხატავს ბუნების მშვენიერ, ნაზ არსებას, პეპელას და ამავე დროს ალეგორიულია, იგულისხმება ადამიანი... ჩვენ, ადამიანები ხშირად ზედმეტად მკაცრები, დაუნდობლები ვართ, გვიჭირს ერთმანეთის გაგება... მეტი მიტევება, სიკეთე, სიყვარული, კეთილშობილება გვმართებს, თორემ, მართლაც წუთია წუთისოფელი. ერთმანეთისთვის სათქმელი, გასაკეთებელი სიკეთე არ უნდა დაგვირჩეს გვიანი...

აი ეს ლექსიც:

„გზაზედ შემომხვდა პეპელა,
ფრთაჭრელი თვალცრემლიანი,
ქვეყნის მშვენება მოჰქონდა,
მთელი სამყაროს ტრფიალი...
მივუახლოვდი, ვეახლე,
ხელზედ დავისვი ფრთიანი,
მივესათუთე, ვეფერე,
ვკითხე მწუხრისა ზიანი.
პასუხის თქმაც ვერ მოასწრო,
კითხვა დამირჩა გვიანი...
ჩემს ხელისგულზედ დასრულდა,
დამტოვა გულდარდიანი“.

- ადამიანი უფლის მსგავსი და ხატი... ადამიანი მიწიერი და ზეციერი, დედამიწისა და კოსმოსის ნაწილი... საოცარია, დედამიწაზე დაბადებულს, დედამიწაზე შემოქმედს ქვეცნობიერად, სულით მუდმივი შინაგანი ლტოლვა აქვს ზეცისკენ. ის კი არ გაურბის მიწიერ რეალობას, როგორც სულიერად სუფთა და ამაღლებული, სიფრიფანა, გამჭვირვალე ფრთებით დაფრინავს კოსმიურ უსასრულობაში... დედამიწის ქაოსიდან გაქცევაა ზეციურ სიმშვიდეში. ჩემი პერსონაჟები ბოროტისა და კეთილის ჭიდილია. კეთილი ადამიანები სულიერად არ არიან დამძიმებულნი. ისინი, ჩემი თვალით, ადვილად მაღლდებიან ცად... როცა ასეთ სამყაროს გამოვსახავ, საოცარი სიმშვიდე შემოდის ჩემს სულში... კოსმიური სამყარო ჩემი სულის ნაწილია...

- როგორ დაასრულებთ ამ ინტერვიუს, რას ჰკითხავდით საკუთარ თავს და რას უპასუხებდით?

- მე, ერთმა უბრალო ადამიანმა ჩემი არსებობით რა შევმატე სამყაროს? ეს კითხვა ნებისმიერ მოკვდავს აწუხებს... პასუხის გაცემა რთულია... ადამიანი უფლის ნებით მოევლინება სამყაროს. მისი მისია სამყაროსხელაა. მას განუზომელი ნიჭი, გონი და შესაძლებლობები აქვს თანდაყოლილი. არის უამრავი მაგალითი, როგორ შეუძლია ერთ ადამიანს შეცვალოს მსოფლიოს ისტორია, შეცვალოს ხელოვნების მიმდინარეობა... მეცნიერების უკიდეგანო მიღწევები დღითი დღე განაცვიფრებს კაცობრიობას. მთავარია, ადამიანს მუდმივად ახსოვდეს, რომ უნდა დარჩეს ადამიანად და ისე უნდა გამოადგეს სამყაროს, როგორც შეუძლია და მისი მთავარი შემოქმედება უნდა იყოს სიკეთე და სიყვარული მოყვასისა.

ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურმა ცენტრმა სეზონი გალაკონცერტით დახურა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ხელოვნების ცენტრში გალაკონცერტი გაიმართა, რომელშიც ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში (დირექტორი - ინგა დავითაძე) გაერთიანებული ყველა კოლექტივი მონაწილეობდა

სცენაზე ვიხილეთ და მოვუსმინეთ საოპერო დასის სოლისტებს: სულხან ჯაიანს, ეთერ ხალვაშს, ოთარ ნაკაშიძეს, ირმა ჟღენტს, ირაკლი და ნონა კორიფაძეებს, ედუარდ გორგილაძეს, ლია ჯაშს, სალომე სალაძეს, ლელა სიხარულიძეს, სიმფონიურ ორკესტრს (მთავარი დირიჟორი - დავით მუქერია, დირიჟორი - მამუკა ალაფიშვილი), მუსიკალური ცენტრის კაპელას (მთავარი ქორმაისტერი - ქეთევან მანელიშვილი, ქორმაისტერები - ლელა დოლიძე, რუსუდან ბერიძე).

კონცერტს შემაჯამებელი სახე მიეცა. ეს, გარკვეულწილად, სეზონის დახურვა გახლდათ. თითოეულმა მონაწილემ თავისი სათქმელი ძალიან ლამაზად თქვა. ასეთი საღამოს მოწყობის იდეა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელ ზვიად ბოლქვაძეს ეკუთვნის (საღამოს დამდგმელი რეჟისორი - ზაზა სიხარულიძე).

მონაწილეები ძალიან საინტერესო და დატვირთული პროგრამით წარსდგნენ მსმენელის წინაშე. ასევე, ბატონი ზვიადის ინიციატივა იყო, რომ საღამო ასეთი დატვირთული ყოფილიყო. ნომრებიც განსაკუთრებული შეირჩა. შესანიშნავი იყო ზვიად ბოლქვაძის გამოსვლა, რომელმაც კაპელასთან ერთად საკუთარი სიმღერა „ცვრიან ბალახზე“ (გალაკტიონ ტაბიძის ლექსზე) შეასრულა.

საღამოზე მოვისმინეთ კარლ ორფის, ვერდის, ლეო დელიბის, რახმანინოვის, ფალიაშვილის, ლეონკავალოს, დონიცეტის, პუჩინის, მასკანის, მოცარტისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ისიამოვნეს მსმენელმაც და თავად მონაწილეებმაც. ჩვენ რამდენიმე მათგანის შთაბეჭდილება ჩავწერეთ.

მარინა ზვიადაძე, ოპერის სოლისტი:

- ჩემი ახალგაზრდობა ბათუმში გავატარე. აქ დავიწყე სასცენო მოღვაწეობა და ჩემთვის ძვირფასი ქალაქია. რაც შეეხება კონცერტს, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა ვიხილე. ფანტასტიკური კაპელაა, ძალიან შთამბეჭდავი, კარგი შესრულებაა, დახვეწილი მანერა. სოლისტები არაჩვეულებრივია, ძალიან კმაყოფილი დავრჩი.

მარიამ ჯახუტაშვილი, საოპერო დასის ხელმძღვანელი:

- ბრწყინვალე პროგრამა იყო, კაპელა, ორკესტრი, მომღერლები - არაჩვეულებრივი. კარგად წარმოაჩინეს თავი. ჩვენ ასეთი მასშტაბური შერეული კონცერტი არ გვქონია ორკესტრთან ერთად. ზვიად ბოლქვაძის ეს იდეა კარგი გამოვიდა და ძალიან კმაყოფილი ვარ.

დავით მუქერია, მთავარი დირიჟორი:

- დღეს ასე გამოვიდა, რომ სეზონი დავხურეთ და ყველა რგოლმა წარმოადგინა თავი. დუეტები, გუნდი, ორკესტრი - ურთულესი ნომრები შესრულდა კლასიკური ჟანრის სხვადასხვა ოპერიდან. ყველა ცალ-ცალკე მოვემზადეთ და მერე აი, ასე ლამაზად გავერთიანდით.

ზვიად ბოლქვაძე:

- ძალიან მიხარია, რომ დღეს ყველანი ასე ერთად ვიყავით მოტივირებულები, რათა მაქსიმუმი გვეჩვენებინა. ვისურვებდი, რომ ეს მუხტი ყველას გადაედოს და ისე გვქონდეს საქმე, რომ გვემღერებოდეს და მაყურებელსაც გაუჩნდეს სურვილი მუსიკის მოსმენისა. დღევანდელ წარმატებულ საღამოს ყველას ვულოცავ - გუნდს, ორკესტრს, სოლისტებს, მაესტროებს, დიდი მადლობა ყველას.

ირმა ჟღენტი:

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამხელა სითბო და სიყვარული მივიღეთ მაყურებლის მხრიდან. ეს ხომ მომღერალს ავსებს, მეტიც, ჩვენ ამისთვის ვცოცხლობთ. ეს სეზონის დახურვა იყო და ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით კიდევ უფრო საინტერესო პროგრამით.

სალომე სალაძე:

- ბედნიერი ვარ დღევანდელი გალაკონცერტით, იმდენად დიდი სითბო მივიღეთ მსმენელისგან, რომ ემოციას ვეღარ ვმალავ. იმედია, სამომავლოდ მაყურებელს კიდევ შევთავაზებთ ასეთ საღამოს.

ნონა კორიფაძე:

- არაჩვეულებრივი საღამო გამოვიდა. დიდი ხანია, ასეთი კონცერტი არ ჩაგვიტარებია. ამისათვის მადლობა ზვიად ბოლქვაძეს. ეს მისი იდეა იყო. მჯერა, ბათუმში კიდევ იქნება კარგი საღამოები, კონცერტები, რომლებითაც ჩვენც ვიქნებით ბედნიერები და მსმენელიც.

თამარ ბაროშკა, ბელარუსის დედაქალაქ მინსკიდან:

- ამ თეატრში პირველად ვარ, მოგვიწვიეს კონცერტზე და ძალიან კმაყოფილი დავრჩი, საოცარი ხმები აქვთ. გუნდია ბრწყინვალე, სოლისტები - გამორჩეული ხმებით. სასიამოვნოა მათი მოსმენა, ჯადოსნური ხმებია, უდიდესი სიამოვნება მივიღეთ. არ გვინდოდა, რომ დამთავრებულიყო, გაგრძელებას ველოდით. ქართველებს უნიკალური ხმები აქვთ, ვუსმენდი და ტანში ჟრუანტელი მივლიდა.

ბათუმელებმა და ქალაქის სტუმრებმა გალაკონცერტი გულთბილად მიიღეს და მათი მონაწილენი დამსახურებული ტაშითაც დააჯილდოვეს.

ქრონიკა

მე-2 გვერდიდან

* * *

სალაშქრო ფესტივალზე „ზღვიდან მთამდე“, რომელიც აჭარაში წელს პირველად გაიმართა, 100-მდე მოლაშქრე დარეგისტრირდა. მოლაშქრეებმა 45-კილომეტრიანი მარშრუტი 5 დღეში დაფარეს. მარშრუტი 24 ივლისს ჩირუხის მთიდან დაიწყო და 28 ივლისს ალპურ ბოტანიკურ ბაღში დასრულდა. ფესტივალის მონაწილეები სალაშქრო გამოცდილებისა და სალაშქრო აღჭურვილობის ფლობის მიხედვით შეირჩნენ. მონაწილეებმა მოლაშქრე გიდებისა და ინსტრუქტორების დახმარებით მთიანი აჭარის ალპური ზონა გაიარეს, ასევე, შრატიანის და შუამთის ტბები, ხიხანის ციხე, ალპური ბაღი და მწვანე ტბა. ფესტივალი აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტომ მთიანი აჭარის ტურისტული მარშრუტების პოპულარიზაციისა და აჭარაში ლაშქრობის სტიმულირების მიზნით ჩაატარა. როგორც აღვნიშნეთ, სალაშქრო ფესტივალი აჭარაში წელს პირველად ჩატარდა და მასში მონაწილეობა უფასო იყო.

* * *

4 აგვისტოს კურორტ ბეშუმში სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ გაიმართება. ღონისძიების ფარგლებში, მთელი დღის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის კულტურული, სპორტული და გასართობი აქტივობები. 12 საათზე, შუამთობის ოფიციალურ გახსნაზე, მოზეიმეთა წინაშე წარსდგება ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერმუხა“, რომელიც ცეკვა „განდაგანას“ შეასრულებს. კონცერტი გაგრძელდება ხულოს კულტურის ცენტრთან და სახელოვნებო სკოლასთან არსებული ანსამბლების და მოწვეული ფოლკლორული ჯგუფების მონაწილეობით, ასევე, მაყურებელს გაახარებენ ვოკალური ჯგუფები: „ურსა“, „ბანი“, „ქუჩის ბიჭები“. ტრადიციულად აირჩევენ და დაჯილდოებენ „საპატიო ხულოელებს“. 14:00 საათიდან 17:00 საათამდე სპორტული ღონისძიებები დოღი, ქართული ჭიდაობა, მკლავჭიდი გაიმართება. დაჯილდოვდებიან სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულები. ღონისძიებაზე მოზეიმეები, ასევე, ნახავენ საბავშვო აქტივობებს, საზაფხულო ატრაქციებს, სპეციალურ ინსტალაციებს, საინტერესო დეკორაციებს, მუნიციპალიტეტის ხეობების მიხედვით მოწყობილ ეთნოგრაფიულ კუთხეებს, ტრადიციული კერძების, რეწვის ნიმუშების, ანტიკვარული საყოფაცხოვრებო ნივთების გამოფენა-გაყიდვას.

* * *

ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩაისუბანში გველის ნაკბენით გერმანელი ტურისტი გარდაიცვალა. ადგილობრივების ინფორმაციით, ის სოფელში დასასვენებლად იმყოფებოდა, ქვეწარმავალი კი მისი საკუთრება იყო. ერთ-ერთი ვერსიით, ის ქვეწარმავალზე დაკვირვებას აწარმოებდა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა უკბინა. ადგილობრივების ინფორმაციით, მამაკაცი ქვეწარმავლის კბენიდან რამდენიმე წუთში ადგილზევე გარდაიცვალა. შსს-მ გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო.

მოამზადა
ხატია იაშვილმა

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 1/08/24, 17 ᴳᴹ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„იბერიონი“ 20 წლისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულ ვაჟთა ფოლკლორულ გუნდ „იბერიონს“, რომელიც მისმა ხელმძღვანელმა, ლოტბარმა თეიმურაზ დოლიძემ 2004 წელს შექმნა, საიუბილეო თარიღი შეუსრულდა

ანსამბლის იუბილეს არაერთი გულშემატკივარი დაესწრო, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ, მათ შორის: საქართველოს სახალხო არტისტი რამინ მიქაბერიძე, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიშო ჯავახიშვილი, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავის“ სამხატვრო ხელმძღვანელი დავით შანიძე, ანსამბლ „კვირიას“ სოლისტი ბექა რატიანი... იუბილეს მოსალოცად მოვიდნენ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, მოადგილე ლელა სურმანიძე, ბსუ-ის რექტორის მოადგილე თამარ სირაძე.

ამ ოცი წლის განმავლობაში ანსამბლმა არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია, ამის შესახებ საღამოს წამყვანებმა, მსახიობებმა სალომე დოლიძემ და ზვიად დოლიძემ ისაუბრეს. აღსანიშნავია, რომ სახელი „იბერიონი“ გუნდს ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალზე მეუფე დიმიტრის კურთხევით დაერქვა.

ყველა წარმატების ჩამოთვლა საგაზეთო ფორმატში ვერ მოხერხდება, მაგრამ ზოგიერთზე ყურადღებას გავამახვილებთ. ფოლკლორულმა გუნდმა 2009 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარებულ ფესტივალში გრან პრი მოიპოვა. გრან პრი დაიმსახურა „კამერტონის“ მიერ ორგანიზებულ კონკურსშიც. 2012 წელს თურქეთის მუსიკალური ფესტივალის ლაურეატი გახდა, 2016 წელს კი ერევანში მოიპოვა პირველი ადგილი, ასვე პირველი ადგილი დაიმსახურა ქუთაისის ფესტივალზე, გრან პრი მიიღო ურეკის საერთაშორისო კონკურსზე „კოლხა“, გრან პრი და ოქროს მედალი მიიღო ჯაჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ოლიმპიადაზე, 2019 წელს ვარნაში (ბულგარეთი) ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე - სპეციალური პრიზი „საუკეთესო პერფორმანსი“, ასევე, გრან პრი... „იბერიონი“ სისტემატურად მონაწილეობს ჩვენი ქალაქისა და რესპუბლიკის სხვადასახვა ღონისძიებაში.

შესანიშნავ საიუბილეო კონცერტზე ბრწყინვალე რეპერტუარი შესთავაზა შეკრებილებს „იბერიონმა“, რომელიც ნებისმიერ საკონცერტო დარბაზს დაამშვენებდა და ჯილდოდ თითოეულ ნომერზე ოვაციას იღებდა. სხვა ანსამბლებმაც მიულოცეს „იბერიონს“ ეს მნიშვნელოვანი თარიღი, მათ შორის ბსუ-ის გოგონათა ანსამბლმა „თირინი“, ბათუმის მერიის კულტურის ცენტრთან არსებულმა ხალხური სიმღერის ვაჟთა ანსამბლმა (ხელმძღვანელი - თემურ დოლიძე).

ანსამბლს ულოცავენ:

არჩილ ჩიქოვანი:

- 20 წელი პატარა დრო არაა და ვხედავთ, როგორი წარმატებები აქვს ამ ანსამბლს. ბათუმში თემურ დოლიძე ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი წამოწყების ავტორია და სრულიად დამსახურებულადაა ჩვენი ქალაქის კულტურის სფეროს განსაკუთრებული წარმომადგენელი, ვულოცავ და წარმატებებს ვუსურვებ.

აპაკი ძნელაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

- სპეციალურად ესწრებიან ამ საღამოს ისეთი ადამიანები, რომლებიც ქვეყნის სიამაყეები არიან, რაც ანსამბლის დამსახურებაზე მიუთითებს. „იბერიონი“ ძალიან დიდი საქმეს ემსახურება.

მიშო ჯავახიშვილი:

- რთული პერიოდი გაიარა ქართულმა ფოლკლორმა. წლების წინ მისი შენარჩუნება არ იყო ადვილი. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ ყველაფერს ქმნიდნენ, მათ ეს წინაპრებისგან გადმოეცათ. ძალიან რთულ პერიოდში ქართული ხალხური სიმღერის შენარჩუნების დრო დადგა. ეს ყველაფერი მაშინ ბავშვებში განხორციელდა. უფროსი თაობის წარმომადგენელსა და მოზარდს ჩოხა რომ აცვია, ესე იგი, ის არის მატარებელი იმ ტრადიციებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ. ეს ბავშვები არიან დიდი ტრადიციების შენარჩუნების მაგალითი და მინდა მადლობა ვუთხრა მათ მშობლებს, რომ ზუსტად იციან, სად მიჰყავთ შვილი, მადლობა ბატონ თემურს მისი საქმიანობისთვის. ამ დიდი საქმით ის საქართველოს ემსახურება, იმ დიდი წინაპრების დანატოვრის შენარჩუნებას, რაც წლების წინ ბატონმა რამინ მიქაბერიძემ, დიდმა ანზორ ერქომაიშვილმა გადაარჩინეს, თაობამ, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად უდიდესი საქმე გააკეთა და დღეს რომ მთელ საქართველოში ამდენ მომღერალს ვხდავთ, ეს მათი დამსახურებაა. 20 წელი არც ბევრია და არც ცოტა, მაგრამ ეს არის უკვე ისტორია. მადლობა ყველას, ვინც ქართულ ფოლკლორს იცავს, - თქვა მან და „იბერიონი“, „მართვესთან“ ერთად, ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საკონცერტო დარბაზში სოლო კონცერტის ჩასატარებლად მიიწვია.

დავით შანიძე:

- მინდა მოგილოცოთ ასეთი წარმატებები, საოცარი სიმღერების ავთენტური შესრულება. „მართვეს“ თავისი ყღერადობა აქვს, „იბერიონს“ - განსხვავებული... აი, ეს არის აქაური და უბედნიერესი ვარ, რომ მომიწვიეთ და ამის მოსმენის შესაძლებლობა მომეცა. დიდი სიამოვნება მომანიჭეთ, გულისამაჩუყებელი იყო ეს ყველაფერი.

თამარ მესხიძე, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორი:

- მადლობა ყველა აქ მყოფს. მადლობას იმიტომ ვიხდი, რომ ჩვენ, კულტურის სამინისტროსთან ერთად, ამ ყველაფრის მასპინძლები ვართ. ყოველდღე ვისმენ ამათ სიმღერებს, ამ ჰანგების ფონზე ვიწყებ და ვასრულებ მუშაობას. ძალიან ბევრი მათგანი პატარა მახსოვს. ჩვენს სასახლეში ქართული ხალხური სიმღერის ტრადიცია ყოველთვის არსებობდა, რაც უფროსმა თემურ დოლიძემ დაიწყო და უმცროსმა გააგრძელა. გვინდოდა, რომ გოგონათა გუნდიც ყოფილიყო და დღეს სასახლესთან არსებული გოგონათა ვოკალური ანსამბლი „ნანინა“ გვაქვს, რომელსაც ნათია ჯანგველაძე ხელმძღვანელობს (ინსტრუმენტების პედაგოგი - ელგუჯა ჯინჭველეიშველი).

ქალბატონმა თამარმა გუნდი „იბერიონი“ თაობათა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის, მიღწეული წარმატებებისა და ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო დიპლომით დააჯილდოვა.

რამინ მიქაბერიძე:

- ბათუმი ჩემთვის მშობლიური ქალაქია, სპეციალური მოწვევით აქ 6 წელი გავატარე და ეს არ არის ცოტა. მაშინ აქ ბავშვთა ფოლკლორული სახელმწიფო ანსამბლი შევქმენით. გავხსენით მოსამზადებელი ჯგუფებიც, სულ 400-ზე მეტი ბიჭი ეუფლებოდა ქართულ ხალხურ სიმღერას. მადლობა ყველას, ვინც მონაწილეობდა და ხელს უწყობდა მის არსებობას. მერე ერთი წელი უხელფასოდ ვიმუშავე და... შემდეგ თემურს ჩავბარე ანსამბლი. მადლობა მას, რომ ასე ლამაზად გააგრძელა ეს საქმე. ყველა კუთხეს შესრულების თავისი მანერა და სიმღერა აქვს და თემურ დოლიძემ შესანიშნავად გაართვა თავი ამის ლამაზად წარმოჩენას. მადლობა ყველას, ვინც ამ ანსამბლს გვერდით დაუდგა, მადლობა ამ ლამაზი საღამოსთვის.

შესანიშნავი წამებიც დადგა, როცა რამინ მიქაბერიძემ „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“ „იბერიონთან“ ერთად იმღერა.

ვულოცავთ ანსამბლს ამ მნიშვნელოვან თარიღს და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ.